ანტონ ჩეხოვი

თოლია

რუსულიდან თარგმნა
ბუკა თოლორდავამ

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი

დამკაბადონებელი ვიოლა ტულუში
გარეკანის დიზაინერი ბუკა თოლორდავა

ISBN 978-9941-
© ბუკა თოლორდავა, 2020.

კომედია ოთხ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

ირინა ნიკოლაევნა არკადინა, ქმრის გვარით ტრეპლიოვა, მსახიობი.

კონსტანტინ გავრილოვიჩ ტრეპლიოვი, მისი ვაჟი, ყმაწვილი კაცი.

პიოტრ ნიკოლაევიჩ სორინი, არკადინას ძმა.

ნინა მიხაილოვნა ზარეჩნაია, ყმაწვილი ქალი, მდიდარი მემამულის ქალიშვილი.

ილია აფანასიევიჩ შამრაევი, გადამდგარი პორუჩიკი, სორინის მამულის მოურავი.

პოლინა ანდრეევნა, მისი ცოლი.

მაშა, მათი ქალიშვილი.

ბორის ალექსეევიჩ ტრიგორინი, ბელეტრისტი.

ევგენი სერგეევიჩ დორნი, ექიმი.

სემიონ სემიონოვიჩ მედვედენკო, მასწავლებელი.

იაკობი, მსახური.

მზარეული.

მსახური ქალი.

მოქმედება მიმდინარეობს სორინის მამულში. – მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის გადის ორი წელი.

პირველი მოქმედება

ბაღი სორინის მამულში. ფართო ხეივანი, რომელიც მაყურებლის მიმართულებით მოუყვება ბაღის სიღრმისკენ. ტბის პირას სახელდახელოდ აწყობილი სცენა, რომელზეც საოჯახო სპექტაკლი უნდა გაიმართოს. სცენის მარჯვენა და მარცხენა კიდეებზე ბუჩქებია ჩარიგებული. რამდენიმე სკამი, მომცრო მაგიდა.

ჩადის მზე. სცენაზე, ფარდის მიღმა, **იაკობი** და **დანარჩენი მსახურები** მუშაობენ. ისმის ხველა და კაკუნი. სეირნობიდან დაბრუნებული **მაშა** და **მედვედენკო** გამოდიან მარცხნიდან.

მედვედენკო. ყოველთვის შავებში რატომ ხართ?

მაშა. საკუთარ ცხოვრებას ვგლოვობ. მე უბედური ვარ.

მედვედენკო. რატომ? *(ჩაფიქრებული.)* არ მესმის... თქვენ ჯანმრთელი ხართ, მამათქვენი მთლად მდიდარი ვერაა, მაგრამ შემოსავალი, ასე თუ ისე, აქვს. აი, ჩემი ცხოვრება კი უფრო მძიმეა, ვიდრე – თქვენი. თვეში სულ 23 რუბლს ვიღებ, იქიდანაც

ნაწილს საგადასახადო მიქვითავს, და მგლოვიარე მაინც არ ვარ. *(სხდებიან.)*

მაშა. საქმე მხოლოდ ფულში არაა. მათხოვარიც კი შეიძლება ბედნიერი იყოს.

მედვედენკო. თეორიულად ჰო, მაგრამ პრაქტიკაში ეს ყველაფერი ასე გამოიყურება: ოჯახში ვართ მე, დედაჩემი, ჩემი ორი და და ძამიკო, ხელფასი კი 23 რუბლია. ჭამა-სმისთვის ხომ უნდა გვეყოს? ჩაისა და შაქრისთვის? თამბაქოსთვის? მიდი და იმყოფინე.

მაშა. *(სცენას ათვალიერებს.)* მალე სპექტაკლი დაიწყება.

მედვედენკო. ჰო! მთავარ როლს ზარეჩნაია ასრულებს, პიესის ავტორი კი კონსტანტინ გავრილოვიჩია. შეყვარებულები არიან და დღეს მათი სულები ერთმანეთს შეერწყმიან, რათა ერთიანი მხატვრული სახე შექმნან. ჩემსა და თქვენს სულებს კი შეხების წერტილებიც არ გააჩნიათ. მიყვარხართ იმდენად, რომ დარდისგან სახლში ვეღარ ვჩერდები. ყოველდღე ფეხით დავდივარ ექვსიოდე ვერსს აქამდე და ექვსსაც – უკანა გზაზე. თქვენგან კი სანაცვლოდ მხოლოდ ინდიფერენტულობას ვიღებ. გასაგებია. მე არაფერი გამაჩნია, ოჯახი კი დიდი მყავს... რატომ უნდა გინდოდეს მისთხოვდე ადამიანს, რომელსაც თავის რჩენაც კი არ შეუძლია?

მაშა. სისულელეა. *(თამბაქოს ყნოსავს.)* თქვენი სიყვარული გულის ამაჩუყებელია, თუმცა არ შემიძლია სიყვარულითვე გიპასუხოთ, ეს არის და ეს. (სათუთუნეს აწვდის.) ინებეთ.

მედვედენკო. არ მინდა. *(პაუზა.)*

მაშა. ჩახუთულია, ალბათ ღამით ჭექა-ქუხილი იქნება. სულ ფილოსოფოსობთ ან სულ ფულზე ლაპარაკობთ. თქვენთვის სიღარიბეზე დიდი უბედურება არ არსებობს, მე კი ათასჯერ მირჩევნია, ძონძებში ვიარო და უფულოდ ვიყო, ვიდრე... თუმცა, თქვენ ამას მაინც ვერ გაიგებთ...

(მარჯვნიდან შემოდიან სორინი და ტრეპლიოვი.)

სორინი *(ხელჯოხზეა დაყდრნობილი)***.** მე, ძმაო, სოფელში რაღაც ვერა ვარ, და გასაგებიცაა, აქაურობას ვერ ვეგუები. გუშინ ათზე დავწექი დასაძინებლად და დღეს ცხრაზე გამეღვიძა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ხანგრძლივი ძილისგან ჩემი ტვინი თავის ქალას მიეკრო, და ეგეთები. *(იცინის.)* ნასადილევს ისევ ჩამძინებია და ახლა სულ მთლად გაბრუებული ვარ, ნამდვილ კოშმარში ვარ ბოლოს და ბოლოს.

ტრეპლიოვი. მართალია. შენ ქალაქში ცხოვრება გჭირდება. *(მაშასა და მედვედენკოს შეამჩნევს.)* ბატონებო, როცა დაიწყება – დაგიძახებენ, ახლა კი აქ გაჩერება არ შეიძლება. გთხოვთ, წაბრძანდეთ!

სორინი *(მაშას.)* მარია ილინიჩნა, გამოიჩინეთ გულისხმიერება, სთხოვეთ მამათქვენს, ხანდახან

ძაღლი ააშვებინოს, თორემ ყეფს წარამარა. ჩემს დას წუხელ ისევ არ სძინებია.

მაშა. მამაჩემს თავად ელაპარაკეთ, მე არ ვაპირებ ჩარევას. გაგვატარეთ, თუ შეიძლება. *(მედვედენკოს.)* წავიდეთ!

მედვედენკო. *(ტრეპლიოვს.)* მაშ, დაწყებამდე გამოუშვით ვინმე. *(ორივენი გადიან.)*

სორინი. ესე იგი, ძაღლმა ისევ მთელი ღამე უნდა იყეფოს. არა რა, არასდროს სოფელში ჩემს გემოზე არ მიცხოვრია. ყოფილა, ოცდარვადღიანი შვებულებაც ამიღია, ჩამოვსულვარ, დავისვენებ-მეთქი და ეგეთები, მაგრამ ისე შეგაწუხებენ რაღაც სისულელეებით, რომ პირველივე დღიდან გაქცევაზე ფიქრობ კაცი. *(იცინის.)* აქედან ყოველთვის დიდი სიამოვნებით მივემგზავრებოდი ხოლმე... ახლა კი გადამდგარი ვარ, ბოლოს და ბოლოს, წასასვლელიც აღარსად მაქვს. გინდა თუ არა, უნდა იცოცხლო...

იაკობი. *(ტრეპლიოვს.)* კონსტანტინ გავრილიჩ, საბანაოდ წავალთ.

ტრეპლიოვი. კარგი, ოღონდ ათ წუთში აქ იყავით! *(საათს დახედავს.)* მალე დავიწყებთ.

იაკობი. კი ბატონო! *(გადის.)*

ტრეპლიოვი. *(ათვალიერებს სცენას.)* აჰა, ესეც თეატრი. ფარდა, ესეც პირველი კულისი, ესეც მეორე, დანარჩენი კი – მხოლოდ ცარიელი სივრცე. არა-

ვითარი დეკორაცია. სცენა პირდაპირ ტბასა და ჰორიზონტს გადაჰყურებს. ფარდა აიწევა ზუსტად ცხრის ნახევარზე, როცა მთვარე ამოვა.

სორინი. შესანიშნავია.

ტრეპლევი. ცხადია, ზარეჩნაია თუ დააგვიანებს, მთელი ეფექტი დაიკარგება. არადა, დროა უკვე აქ იყოს. მამა და დედინაცვალი ისე დარაჯობენ, რომ მისთვის სახლიდან გამოღწევა ისეთივე რთულია, როგორც ციხიდან გამოქცევა. *(ბიძას ჰალსტუხს უსწორებს.)* თმა და წვერი გაბურძგნული გაქვს, თავი უნდა მოიწესრიგო...

სორინი. *(წვერს ივარცხნის.)* ჩემი ცხოვრების ტრაგედია. ახალგაზრდობაშიც ასე ვიყავი. თითქოს დღედაღამ სმაში ვიყო და ეგეთებში. ქალებს არასდროს ვუყვარდი. *(ჯდება.)* ჩემს დას რა აწუხებს?

ტრეპლიოვი. რა აწუხებს? მოიწყინა. *(გვერდით უჯდება.)* ეჭვიანობს. იგი უკვე მეც მეწინააღმდეგება, სპექტაკლსაც და ჩემს პიესასაც, რადგან ზარეჩნაია თამაშობს და არა ის. ჩემს პიესას ჯერ არც იცნობს, მაგრამ უკვე ვერ იტანს.

სორინი. *(იცინის.)* ნუ იგონებ რაღაცებს...

ტრეპლიოვი. უკვე იმაზე წუხს, რომ ამ პატარა სცენაზე წარმატება ზარეჩნაიას ერგება და არა მას. *(საათს დახედავს.)* დედაჩემი ნამდვილი ფსიქოლოგიური კურიოზია. უდავოდ ნიჭიერია, ჭკვიანი, ემოციურიც – წიგნებს დაჰქვითინებს. მთელ

ნეკრასოვს ზეპირად წაგიკითხავს, ავადმყოფებს ანგელოზივით უვლის; მაგრამ აბა, გაბედე და მისი თანდასწრებით დუზე შეაქე. ოჰო-ჰო! მხოლოდ მას უნდა აქებდე, მხოლოდ მასზე უნდა წერდე, აღფრთოვანებით გაჰკიოდე მის არაჩვეულებრივ შესრულებაზე სპექტაკლებში „La dame aux camelias“[1] ან „ცხოვრების მხუთავი კვამლი“. მაგრამ რადგან აქ, სოფელში, ამისი ფუფუნება არაა, ამიტომაც მოიწყენს ხოლმე, ბრაზობს, ჩვენ კი – მისი მტრები ვართ, ყველანი დამნაშავეები ვართ. მერე კიდევ ცრურწმენებისა სჯერა, სამი სანთლისა და ცამეტი რიცხვის ეშინია. ძუნწია. დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ ოდესაში, ბანკში, სამოცდაათი ათასი უნდა ჰქონდეს. აბა, მიდი და ცოტა ფული სთხოვე, ტირილს დაიწყებს.

სორინი. დაგიჩემებია, თითქოს დედაშენს შენი პიესა არ მოსწონს, მაგაზე ღელავ და ეგეთები. დამშვიდდი, დედა შენზე გიჟდება.

ტრეპლიოვი. *(ყვავილს ფურცლებს აცლის.)* ვუყვარვარ – არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ – არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ – არ ვუყვარვარ. *(იცინის.)* ხედავ, საკუთარ დედას არ ვუყვარვარ. აბა რა! მას უნდა, იცოცხლოს, უყვარდეს, ეცვას ფერადი კაბები, მე კი ამასობაში ოცდახუთი წლისა გავხდი, რაც მას გამუდმებით ახსენებს, რომ ახალგაზრდა

---

[1] (ფრანგ.) „ქალი კამელიებით“. **მთარგმნ.**

აღარაა. როცა მე შორიახლოს არა ვარ, ის ოცდა-თორმეტისაა, როცა ჩემთანაა – ორმოცდასამის, ამიტომაც ვერ მიტანს. ისიც იცის, რომ თეატრს არ ვცნობ. მას კი უყვარს თეატრი, სწამს, რომ კაცობრიობასა და მაღალ ხელოვნებას ემსახურე-ბა, ჩემთვის კი თანამედროვე თეატრი რუტინაა, ცრუწარმოდგენები... ფარდა რომ აიწევა და სა-ღამოს განათებაზე, სამკედლიან დეკორაციაში, ეს გენიალური ტალანტები, მაღალი ხელოვნების ქურუმები განასახიერებენ ადამიანების ჭამას, სმას, სიყვარულს, სიარულს, პიჯაკის ტარებას; როცა უხამსი სურათებითა და ფრაზებით ცდი-ლობენ დამანახონ მორალი – მცირე მორალი, ყველასთვის გასაგები, სასარგებლო მხოლოდ ყო-ფა-ცხოვრებისთვის; როცა ათასნაირი ვარიაციით მაწვდიან ერთსა და იმავეს, ერთსა და იმავეს, მე გავრბივარ, გავრბივარ, როგორც მოპასანი გაურ-ბოდა ეიფელის კოშკს, რომელიც ტვინს უბურღა-ვდა თავისი უხამსობით.

სორინი. თეატრის გარეშე არ შეიძლება.

ტრეპლიოვი. ახალი ფორმებია საჭირო. და თუ ახალი ფორმები არ არის, მაშინ რაღად გვინ-და. *(საათს დახედავს.)* მე მიყვარს დედაჩემი, ძა-ლიან მიყვარს; მაგრამ ის უაზროდ ცხოვრობს, სულ ამ თავის ბელეტრისტთან დაიარება, მის სახელს სულ გაზეთებში აფრიალებენ, ამან კიდევ თავი მომაბეზრა. ჰო, ხანდახან უბრალო მო-კვდავის ეგოიზმი მალაპარაკებს; ხანდახან ვწუხ-

ვარ, რომ დედა ცნობილი მსახიობი მყავს, და მგონია, ჩვეულებრივი ქალი რომ ყოფილიყო, უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ბიძია, რა შეიძლება იყოს ამ მდგომარეობაზე უფრო გაუსაძლისი და სულელური – მას ხომ მხოლოდ ცნობილი ადამიანები სტუმრობენ: მსახიობები, მწერლები, და მათ შორის არარაობა მხოლოდ მე ვარ. და ეს ხალხიც ჩემს იქ ყოფნას იტანს მარტო იმიტომ, რომ დედაჩემის შვილი ვარ. ვინ ვარ? რა ვარ? მესამე კურსზე ვიყავი, უნივერსიტეტიდან რომ წამოვედი, როგორც იტყვიან, რედაქციისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. არავითარი ნიჭი არ გამაჩნია, ფული კაპიკი არ მაქვს, პასპორტის მიხედვით კი კიეველი მეშჩანი ვარ. მამაჩემიც ხომ კიეველი მეშჩანი იყო, არადა ისიც – ცნობილი მსახიობი. ჰოდა, როცა ასეთ სიტუაციაში სასტუმრო ოთახში ყველა ეს მსახიობი და მწერალი თავის გულმოწყალე ყურადღებას მე მომაპყრობდა, მეჩვენებოდა, თითქოს თავიანთი მზერით აფასებდნენ, თუ რა დონის არარაობა ვიყავი. მე მათ აზრებს ვკითხულობდი და დამცირებისგან ვიტანჯებოდი...

სორინი. ჰო, მართლა, მითხარი ერთი, რა კაცია ეს ბელეტრისტი? ვერაფერს გაუგებ, სულ ჩუმადაა.

ტრეპლიოვი. ჭკვიანი კაცია, უბრალო, ცოტა არ იყოს, სევდიანი, ხომ გესმის? ძალიან მოწესრიგებული. ჯერ ორმოცი წლისაც არ იქნება, მაგრამ

უკვე ცნობილია და ყელამდე გამძღარი... მის ნაწარმოებებს რაც შეეხება... როგორ აგიხსნა? კარგია, უნიჭობა არ არის... მაგრამ... აი, ტოლსტოის ან ზოლას მერე ტრიგორინის წაკითხვა არ მოგინდება.

სორინი. მე კი, ძმაო, მიყვარს ლიტერატორები. ერთ დროს მთელი გულით ორი რამ მსურდა: ცოლის მოყვანა და ლიტერატორობა, მაგრამ ვერც ერთი გამოვიდა, ვერც – მეორე. არადა, ბოლოს და ბოლოს, რიგითი ლიტერატორობაც სასიამოვნოა.

ტრეპლიოვი. *(მიაყურადებს.)* ფეხის ხმა მესმის... *(ბიძას ეხუტება.)* მის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია... მისი ფეხის ხმაც კი რა მშვენიერია... სიგიჟემდე ბედნერი ვარ! *(სწრაფად მიემართება ნინა ზარეჩნაიას შესახვედრად, რომელიც შემოდის.)* სასწაულო, ჩემო ოცნებავ...

ნინა. *(აღელვებული.)* არ დავაგვიანე... რა თქმა უნდა, არ დავაგვიანე...

ტრეპლიოვი. *(ხელებს უკოცნის.)* არა, არა, არა...

ნინა. მთელი დღე ვნერვიულობდი. ისე მეშინოდა! მეგონა, მამაჩემი არ გამომიშვებდა... მაგრამ ახლა ის წასულია დედინაცვალთან ერთად. წითელია ცა, მთვარეც ამოდის და მეც მოვაქროლებდი ცხენს, ისე მოვაქროლებდი... *(იცინის.)* მაგრამ ახლა ბედნერი ვარ! *(ღონივრად ართმევს ხელს სორინს.)*

სორინი. *(იცინის.)* თვალები, გეტყობა, ნამტირალევი გაქვს... ხა, ხა, ხა! ეს კარგი ამბავი არ არის!

ნინა. ჰო, ასეა... ხედავთ, სუნთქვა როგორ მიჭირს?! ნახევარ საათში უნდა წავიდე, მეჩქარება. არ შემიძლია, არ შემიძლია, გეხვეწებით, ნუ დამაყოვნებთ. მამამ არ იცის, აქ რომ ვარ.

ტრეპლიოვი. მართლაც, დროა, დავიწყოთ. წავალ, ყველას დავუძახებ.

სორინი. მე დავუძახებ, აი, ამ წუთში. *(გადის მარჯვნივ და მღერის.)* „საფრანგეთში ორი გრენადერი...“ *(მიმოიხედავს.)* ერთხელ ზუსტად ასე წავიმღერე და პროკურორის ამხანაგმა მითხრა: „თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ძლიერი ხმა გაქვთ“... მერე დაფიქრდა და დაამატა: „მაგრამ... საზიზღარი“. *(იცინის და გადის.)*

ნინა. მამაჩემი და მისი ცოლი აქ არ მიშვებენ. ამბობენ, ბოჰემაა მანდო... ეშინიათ, მსახიობობა არ დავიწყო... არადა, მე მაინც ეს ტბა მიზიდავს, როგორც თოლიას... გულიც თქვენით მევსება. *(მიმოიხედავს).*

ტრეპლიოვი. მარტო ვართ.

ნინა. იქ, მგონი, ვიღაცაა.

ტრეპლიოვი. არავინაა. *(კოცნა.)*

ნინა. ეს რა ხეა?

ტრეპლიოვი. თელა.

ნინა. რატომაა ასეთი ჩაბნელებული?

ტრეპლიოვი. საღამოა და ბნელდება ყველაფერი. ადრე ნუ წახვალთ, გევედრებით.

ნინა. არ შეიძლება.

ტრეპლიოვი. მე რომ წამოვიდე თქვენთან, ნინა? მთელ ღამეს თქვენს ბაღში გავატარებ და თქვენს ფანჯარას თვალს არ მოვაშორებ.

ნინა. არ შეიძლება, დარაჯი შეგამჩნევთ! ძაღლიც ჯერ არ შემოგჩვევიათ და ყეფას დაიწყებს.

ტრეპლიოვი. მიყვარხართ.

ნინა. ჩუ...

ტრეპლიოვი. *(ნაბიჯებს გაიგონებს.)* ვინ არის მანდ? თქვენ, იაკობ?

იაკობი. *(სცენის მიღმა.)* კი ბატონო!

ტრეპლიოვი. ადგილები დაიკავეთ, ვიწყებთ. მთვარე გამოჩნდა?

იაკობი. კი ბატონო!

ტრეპლიოვი. სპირტი მზადაა? გოგირდიც? წითელი თვალები რომ გამოჩნდება, გოგირდის სუნი უნდა დადგეს. *(ნინას.)* მიდით, ყველაფერი მზადაა. ღელავთ?..

ნინა. ჰო, ძალიან. დედათქვენს კიდევ არა უშავს, მისი არ მეშინია, აი, ტრიგორინის კი... მის წინაშე

თამაში მეშინია და მრცხვენია... ცნობილი მწერალია... ახალგაზრდაა?

ტრეპლიოვი. დიახ!

ნინა. რა შესანიშნავი მოთხრობები აქვს!

ტრეპლიოვი. *(ცივად.)* არ ვიცი, არ წამიკითხავს.

ნინა. თქვენი პიესის თამაში ძნელია, მასში ცოცხალი სახეები არ არის.

ტრეპლიოვი. ცოცხალი სახეები! ცხოვრება ისეთად კი არ უნდა წარმოაჩინო, როგორიც არის ან როგორიც უნდა იყოს, არამედ ისეთად, როგორიც ოცნებებში წარმოგიდგენია.

ნინა. თქვენს პიესაში ცოტა მოქმედებაა, მხოლოდ წასაკითხად თუ გამოდგება... პიესაში, ჩემი აზრით, აუცილებლად სიყვარულიც უნდა იყოს... *(ორივე გადის სცენიდან.)*

(შემოდიან პოლინა ანდრეევნა და დორნი.)

პოლინა ანდრეევნა. ნესტიანი ამინდია. დაბრუნდით, კალოშები ჩაიცვით.

დორნი. მცხელა.

პოლინა ანდრეევნა. თავს არ უფრთხილდებით, ჯიუტობთ! თქვენ ექიმი ხართ და კარგად იცით, რომ ნესტიანი ჰაერი გავნებთ, მაგრამ არა, თქვენ გინდათ, რომ მე დავიტანჯო; თქვენ სპეციალურად გაატარეთ მთელი გუშინდელი საღამო აივანზე...

დორნი. *(ღიღინებს.)* „ნუ იტყვი, ახალგაზრდობამ დამღუპაო...“

პოლინა ანდრეევნა. იმდენად გართული იყავით ირინა ნიკოლაევნასთან საუბრით, რომ... სიცივე ვერც იგრძენით. აღიარეთ, თქვენ ის მოგწონთ...

დორნი. 55 წლისა ვარ.

პოლინა ანდრეევნა. სისულელეა, კაცისთვის ეგ სიბერე არაა. თქვენ გადასარევად შეინარჩუნეთ ახალგაზრდობა და ქალებსაც დღემდე მოსწონხართ.

დორნი. და მაინც, რა გნებავთ?

პოლინა ანდრეევნა. მსახიობის გულისთვის ყველანი მუხლებზე დაემხობით! ყველანი!

დორნი. *(ღიღინებს.)* „მე კვლავ შენს წინაშე ვარ“... საზოგადოებაში მსახიობები თუ უყვართ და მათ უკეთ ეპყრობიან, ვიდრე, მაგალითად, ვაჭრებს, სავსებით კანონზომიერია. ეს იდეალიზმია.

პოლინა ანდრეევნა. ქალებს ყოველთვის უყვარდით და კისერზე გეკიდებოდნენ. ესეც იდეალიზმია?!

დორნი. *(მხრებს იჩეჩავს.)* მერე რა? ქალებთან ურთიერთობისას ბევრი კარგი რამ გადამხდენია. უპირველეს ყოვლისა, ჩემში უყვარდათ შესანიშნავი ექიმი. 10-15 წლის წინათ, გემახსოვრებათ, მთელს გუბერნიაში ერთადერთ ხეირიან აკუშო-

რად ვითვლებოდი. გარდა ამისა, ყოველთვის პატიოსანი კაცი ვიყავი.

პოლინა ანდრეევნა. *(ხელს სტაცებს.)* ჩემო ძვირფასო!

დორნი. ჩუმად, მოდიან!

(შემოდიან არკადინა – ხელმკლავით სორინთან ერთად, ტრიგორინი, შამრაევი, მედვედენკო და მაშა.)

შამრაევი. 1873 წელს, პოლტავაში, ბაზრობაზე, ის ქალბატონი შესანიშნავად თამაშობდა. ეს იყო ნამდვილი ზეიმი! დიდებულად თამაშობდა! იქნებ, სრულიად შემთხვევით, იცოდეთ, სად არის ამჟამად კომიკოსი ჩადინი, პაველ სემიონიჩი? რასპლუევის როლში შეუდარებელი იყო, სადოვსკიზე უკეთესიც კი, გეფიცებით, ღრმად პატივცემულო. ახლა სადაა?

არკადინა. სულ ვიღაც ვადაგასულებზე მეკითხებით, აბა მე რა ვიცი?! *(ჯდება.)*

შამრაევი. *(ამოიოხრებს.)* პაშკა ჩადინი! ესეთები აღარ არიან! დაემხო სცენა, ირინა ნიკოლაევნა! წინათ სულ ძლევამოსილი მუხები იყვნენ, ახლა კი – ცარიელი კუნძები.

დორნი. ბრწყინვალე ნიჭით დაჯილდოებული მსახიობები იმდენნი აღარ არიან, მართალია, თუმცა საშუალო დონის მსახიობები უფრო დაოსტატდნენ.

შამრაევი. ვერ დაგეთანხმებით. ალბათ გემოვნების ამბავია. De gustibus aut bene, aut nihil.[1]

(სცენის კულისიდან ტრეპლიოვი გამოდის.)

არკადინა. *(შვილს.)* ჩემო ძვირფასო შვილო, როდისღა დაიწყებთ?

ტრეპლიოვი. ერთ წუთში, გთხოვთ მოითმინოთ.

არკადინა. *(კითხულობს „ჰამლეტიდან“.)* „შენმა სიტყვებმა ჩემს სულშივე ჩამახედვინა და დამანახვა ცოდვის კვალი ამოუშლელი“.[2]

ტრეპლიოვი. *(„ჰამლეტიდანვე“.)* „ვით დასტოვე ეს შვენიერი მთის საძოვარი და ამ მყრალ ჭაობს მიაგენი გამოსაკვებად?!“

(სცენის სიღრმიდან ბუკის ხმა ისმის.)

ტრეპლიოვი. ბატონებო, ვიწყებთ! გთხოვთ ყურადღებას! *(პაუზა.)* ვიწყებ! *(ჯოხით აბრახუნებს და ხმამაღლა წარმოთქვამს.)* ო, თქვენ, მხცოვანო, ხანდაზმულო აჩრდილებო, ღამის წყვდიადში ამ ტბის

---

[1] (ლათ.) გემოვნებაზე ან კარგი, ან არაფერი – მიღებულია ორი ლათინური გამოთქმის შერწყმით: *“De gustibus non est disputandum”* – „გემოვნებაზე არ დაობენ“ და *“De mortuis aut bene aut nihil”* – „გარდაცვლილი ან კარგად მოიხსენიეთ, ან ნურაფერს იტყვით მასზე“ (სიტყვასიტყვით: „გარდაცვლილზე თქვით კარგი ან – არაფერი“). **ავტ.**

[2] **აქ და ქვემოთ:** ივანე მაჩაბლის თარგმანი. **მთარგმ.**

თავზე რომ დახეტიალობთ, დაგვაძინეთ და დაე, გვესიზმროს ის, რაც ორასი ათასი წლის შემდეგ გველოდება!

სორინი. ორასი ათასი წლის შემდეგ აღარაფერი იქნება.

ტრეპლიოვი. ჰოდა, ეგ აღარაფერი წარმოგვიდგინონ.

არკადინა. დაე, წარმოგვიდგინონ. ჩვენ გვძინავს.

(აიწევა ფარდა; იშლება ხედი ტბისკენ; ჰორიზონტზე მთვარე მოჩანს, ტბაზე კი მისი ანარეკლია; დიდ ქვაზე ჩამომჯდარა ნინა ზარეჩნაია, თეთრებში გამოწყობილი.)

ნინა. ადამიანები, ლომები, არწივები და კაკბები, ქორბუდა ირმები, ბატები, ობობები, წყალში მობინადრე, მდუმარე თევზები, ზღვის ვარსკვლავები და ისინიც, ვისი თვალით დანახვაც შეუძლებელი იყო, – ერთი სიტყვით, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი, ჭმუნვისა და მწუხარების წრეში გაქრა... უკვე ათასი საუკუნეა, რაც დედამიწაზე აღარ არის არც ერთი ცოცხალი ბინადარი და ამ საცოდავ მთვარესაც უიმედოდ უნთია თავისი ჩირაღდანი. მდელოებზე ყივილით აღარ იღვიძებენ წეროები და აღარც მაისის ხოჭოების ხმა ისმის ბალახიდან. ცივა, ცივა, ცივა... სიცარიელეა, სიცარიელე, სიცარიელე... შემზარავია, შემზარავი, შემზარავი... *(პაუზა.)* ცოცხალ არსებათა სხეულები მტვრად იქცნენ და მუდმივმა მატერიამ ისინი

ქვებად, წყლად, ღრუბლებად აქცია, ხოლო მათი სულები შეერწყნენ ერთმანეთს. სამყაროს ერთიანი სული – ეს მე ვარ... მე... ჩემშია ალექსანდრე დიდის სული, კეისრისაც, შექსპირისა და ნაპოლეონის, და უკანასკნელი ქვემძრომისაც. ადამიანთა ცნობიერება ჩემში ცხოველურ ინსტიქტებს შეუერთდა, და მე მახსოვს ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი, და თითოეულ სიცოცხლეს ხელახლა განვიცდი ჩემში.

(ტბიდან მოჩანს შუქი.)

არკადინა. *(ჩურჩულით.)* ეს რაღაც დეკადენტურია.

ტრეპლიოვი. *(მუდარით.)* დედა!

ნინა. მე მარტოსული ვარ. ას წელიწადში ერთხელ მე ვხსნი ბაგეებს, რათა ვისაუბრო, მაგრამ ჩემი ხმა ამ სიცარიელეში უსიცოცხლოდ ჟღერს, და არავის ესმის... არც თქვენ, ცეცხლის ფერმკრთალო ალებო, გესმით ჩემი... გამთენიისას თქვენ გშობთ ეს დამპალი ჭაობი, და იწყებთ ხეტიალს, მაგრამ აზრს, ნება-სურვილს, სიცოცხლეს ხართ მოკლებულნი. იმის შიშით გათანგულნი, რომ თქვენში სიცოცხლე არ წარმოიშვას, მუდმივი მატერიის მამა, ეშმაკი, ყოველ წუთს თქვენში, როგორც ქვასა და წყალში, ატომთა მიმოცვლას აწარმოებს, და თქვენში შეუქცევადი ცვლილებებია. სამყაროში ერთადერთი უცვლელი და მარადიული მხოლოდ სულიღა რჩება. *(პაუზა.)* როგორც უძირო ჭაში ჩაგდებული ტყვე, მე არ ვიცი, სად

ვარ ან რა მელის. ჩემთვის ნათელი მხოლოდ ერთია, რომ ეშმაკთან, მატერიალური ძალების საწყისთან გამართულ შეუპოვარ, სასტიკ ბრძოლაში მე ვალდებული ვარ გავიმარჯვო. მხოლოდ ამის შემდეგ მატერია და სული ერთმანეთს შეერწყმიან და დამყარდება მსოფლიო ჰარმონია. ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა განქარდება მთელი რიგი ათასწლეულებისა და მთვარე, კაშკაშა სირიუსი და დედამიწა მტვრად იქცევიან... მანამდე კი მხოლოდ შიში, შიში... *(პაუზა; ტბის ფონზე გამოჩნდება ორი წითელი წერტილი.)* აი, მიახლოვდება ჩემი ძლევამოსილი მეტოქეც – ეშმაკი. მე ვხედავ მის შემზარავ, დასისხლიანებულ თვალებს...

არკადინა. გოგირდის სუნია. ეს ასე უნდა იყოს?

ტრეპლიოვი. ჰო!

არკადინა. *(იცინის.)* ნამდვილად ეფექტურია!

ტრეპლიოვი. დედა!

ნინა. მან მოიწყინა ადამიანთა გარეშე...

პოლინა ანდრეევნა. *(დორნს.)* ქუდი მოგიხდიათ. დაიხურეთ, გაცივდებით.

არკადინა. ექიმმა ქუდი მუდმივი მატერიის მამის, ეშმაკის წინაშე მოიხადა.

ტრეპლიოვი. *(გამწარებული, ხმამაღლა.)* სპექტაკლი დასრულდა! საკმარისია! ფარდა!

არკადინა. რატომ ბრაზობ?

ტრეპლიოვი. მორჩა! ფარდა! ფარდა-მეთქი! *(ფეხს აბაკუნებს.)* ფარდა! *(ფარდა ეშვება.)* დამნაშავე ვარ! მხედველობიდან გამომრჩა, რომ პიესების წერა და სცენაზე თამაში მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! მონოპოლია დავარღვიე! მე... მე... *(რაღაცის დამატება უნდა, მაგრამ ხელს ჩაიქნევს და გადის მარცხნივ.)*

არკადინა. რა დაემართა?

სორინი. ირინა, ძვირფასო, არ შეიძლება ასე მოექცე ახალგაზრდულ თავმოყვარეობას.

არკადინა. ეგეთი რა ვუთხარი?

სორინი. აწყენინე.

არკადინა. თვითონ გვაფრთხილებდა, ხუმრობაო, მეც ეს პიესა ხუმრობად აღვიქვი.

სორინი. მაინც...

არკადინა. თურმე გენიალური ნაწარმოები შეუქმნია! ერთი ამას დამიხედეთ რა! თურმე იმისთვის დაუდგამს ეს სპექტაკლი და გოგირდის სუნით იმიტომ აგვაქოთა, რომ რაღაცის დემონსტრირება სურდა... მოუნდა ჩვენთვის ესწავლებინა, როგორ უნდა ვწერდეთ და რას უნდა ვთამაშობდეთ. მომბეზრდა, ბოლოს და ბოლოს. გამუდმებით ეს რაღაცის მტკიცება და ჩემთან ჭიდაობა, აღიარეთ, დამღლელია! ჭირვეული, ამპარტავანი ბიჭი.

სორინი. უნდოდა შენთვის ესიამოვნებინა.

არკადინა. მართლა? არადა, რამე ჩვეულებრივი პიესის დადგმა კი არ ინება, არამედ ძალით გვასმენინა ეს დეკადენტური ბოდვა. ხუმრობა-ხუმრობაში ბოდვასაც ავიტან, მაგრამ აქ ხომ ახალ ფორმებზე გვქონია პრეტენზიები, ახალ ერაზე ხელოვნებაში. მე მგონია, რომ აქ არავითარი ახალი ფორმები არ არის, უბრალოდ, მძიმე ხასიათი აქვს.

ტრიგორინი. ყველა ადამიანი წერს ისე, როგორც მოესურვება ან როგორც შეუძლია.

არკადინა. წეროს, როგორც მოესურვება და როგორც შეუძლია, ოღონდ მე თავი დამანებოს.

დორნი. იუპიტერო, შენ ბრაზობ...

არკადინა. იუპიტერი კი არა, ქალი ვარ მე. *(ეწევა.)* არ ვბრაზობ, უბრალოდ გული მწყდება, რომ ახალგაზრდა კაცი ასე მოსაწყენად ატარებს დროს. არ მინდოდა მისი წყენინება.

მედვედენკო. შეუძლებელია გქონდეს იმისი საფუძველი, რომ სული და მატერია განაცალკევო, გამომდინარე იქიდან, რომ სულიც, შესაძლოა, მატერიალურ ატომთა ერთობლიობა იყოს. *(ცოცხლად, ტრიგორინს.)* იცით რა, კარგი იქნებოდა, პიესაში ვინმემ აღწეროს და მერე სცენაზეც დადგას, თუ როგორ ცხოვრობენ რიგითი მასწავლებლები. რთულია, რთულია ასეთი ცხოვრება!

არკადინა. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მოდით ნუ ვილაპარაკებთ ნურც პიესებზე და ნურც

ატომებზე. ნახეთ, რა სასიამოვნო საღამოა! გესმით, ბატონებო? მღერიან! *(ყურს დაუგდებს.)* რა კარგია!

პოლინა ანდრეევნა. იქითა ნაპირიდანაა. *(პაუზა.)*

არკადინა. *(ტრიგორინს.)* გვერდზე მომიჯექით. 10-15 წლის წინათ, აქ, ამ ტბაზე, თითქმის ყოველ ღამე, განუწყვლეტივ ისმოდა მუსიკა და სიმღერა. ამ ნაპირზე მებატონეთა ექვსი მამულია. მახსოვს სიცილი, ხმაური, თამაშები და რომანები, გაუთავებელი რომანები... Jeune premier'om[1]• და ექვსივე მამულის თაყვანისცემის საგანი გახლდათ, აი, მოგახსენებთ *(მიუთითებს დორნისკენ.)*, ექიმი ევგენი სერგეევიჩი. ახლაც ხომ ბრწყინვალეა, მაგრამ მაშინ შეუდარებელი იყო. თუმცა, ცოტა არ იყოს, სინდისი მქენჯნის. რატომ ვაწყენინე ჩემს საწყალ ბიჭს? ვერ ვისვენებ. *(ხმამაღლა.)* კოსტია! შვილო! კოსტია!

მაშა. წავალ, მოვძებნი.

არკადინა. გთხოვ, ძვირფასო!

მაშა. *(მიდის მარცხნივ.)* აუ! კონსტანტინ გავრილოვიჩ! აუ! *(გადის.)*

ნინა. *(სცენიდან გამოდის.)* როგორც ჩანს, გაგრძელება აღარ იქნება, შესაბამისად, ჩემთვისაც

---

[1] (ფრანგ.) მსახიობი, რომელიც საყვარლის როლს თამაშობს. **ავტ.**

შეიძლება უკვე გამოსვლა. გამარჯობა! *(გადაკოცნის არკადინასა და პოლინა ანდრეევნას.)*

სორინი. ბრავო! ბრავო!

არკადინა. ბრავო! ბრავო! ვისიამოვნეთ. ასეთი გარეგნობით, ასეთი შესანიშნავი ხმით, არ შეიძლება, დანაშაულია თქვენი სოფელში ჯდომა. თქვენ ტალანტი უნდა გქონდეთ. გესმით? თქვენ ვალდებული ხართ ემსახუროთ სცენას!

ნინა. ოჰ, ეს ჩემი ოცნებაა! *(ამოიოხრებს.)* მაგრამ ის ვერასდროს ასრულდება.

არკადინა. ვინ იცის? ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ: ტრიგორინი, ბორის ალექსეევიჩი.

ნინა. ოჰ, ისე მიხარია... *(დაბნეული.)* ყოველთვის ვკითხულობ თქვენს ნაწარმოებებს...

არკადინა. *(გვერდზე მოისვამს ნინას.)* ნუ დაიბნევით, ძვირფასო. ცნობილი კია, მაგრამ უბრალო სულის პატრონია. ხედავთ, თვითონაც დაიბნა.

დორნი. ვფიქრობ, დროა ფარდა ავწიოთ, თორემ შიშმა ამიტანა.

შამრაევი. *(ხმამაღლა.)* იაკობ, ერთი ფარდა ასწიე, ძმაო, ფარდა! *(ფარდა იწევა.)*

ნინა. *(ტრიგორინს.)* უცნაური პიესაა, არა?

ტრიგორინი. ვერაფერი გავიგე, თუმცა სიამოვნებით ვუყურებდი. თქვენ ისე გულწრფელად თამა-

შობდით. დეკორაციაც მშვენიერი იყო. *(პაუზა.)* ამ ტბაში ბევრი თევზი უნდა იყოს.

ნინა. დიახ!

ტრიგორინი. მიყვარს თევზაობა. ჩემთვის საღამოობით ნაპირზე ჯდომასა და თევზების ყურებაზე დიდი სიამოვნება არ არსებობს.

ნინა. დიახ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ვისაც შემოქმედებითი სიამოვნება განუცდია, მისთვის სხვა სიამოვნებები აღარ არსებობს.

არკადინა. *(სიცილით.)* ასე ნუ იტყვით! საერთოდ, კარგ რამეებს როცა ეუბნებიან, სულ აიჭრება ხოლმე.

შამრაევი. მახსოვს, მოსკოვში, ოპერის თეატრში, ერთხელ სახელგანთქმულმა სილვამ დაბალი დო აიღო. ამ დროს კი, თითქოს განგებამ განაპირობაო, გალერეაში ჩვენი სინოდის მგალობელთა ბანი იჯდა, და უცებ, წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა გალერიიდან გვესმის: „ბრავო, სილვა!“ – მთელი ოქტავით დაბლა... აი, ასე *(დაბალ რეგისტრში.)* ბრავო, სილვა... მთელი თეატრი გაირინდა. *(პაუზა.)*

დორნი. სიჩუმის ანგელოზმა გადაიფრინა.

ნინა. ჩემი წასვლის დროა. მშვიდობით!

არკადინა. საით? ასე ნაადრევად სად მიდიხართ? არ გაგიშვებთ.

ნინა. მამა მელოდება.

არკადინა. ო, რანაირი... *(კოცნის.)* ეჰ, რა გაეწყობა. გული მწყდება, გული მწყდება, რომ უნდა გაგიშვათ.

ნინა. ნეტა იცოდეთ, როგორ მიჭირს წასვლა!

არკადინა. გაგაცილებდათ მაინც ვინმე, ძვირფასო.

ნინა. *(შეშინებული.)* ო, არა, არა!

სორინი. *(ნინას მუდარით.)* დარჩით!

ნინა. არ შემიძლია, პიოტრ ნიკოლაევიჩ.

სორინი. ერთი საათით მაინც დარჩით. აბა, რა მოხდება?..

ნინა. *(ჩაფიქრებული, თვალცრემლიანი.)* არ შეიძლება! *(ხელს ართმევს და სწრაფად გადის.)*

არკადინა. მართლა რა საცოდავია ეს გოგო. ამბობენ, რომ მისმა ცხონებულმა დედამ მთელი თავისი უზარმაზარი ქონება ქმარს დაუტოვა, უკანასკნელ კაპიკამდე, გოგოს კი აღარაფერი დარჩა, რადგან ქმარმა უკვე მოასწრო და ეს ყველაფერი მეორე ცოლს უანდერძა. აღმაშფოთებელია!

დორნი. ჰო, მამიკო წინდახედული ნაძირალა ჰყავს, ვერაფერს იტყვი.

სორინი. *(ხელების ფშვნეტით.)* ბარემ წავსულიყავით, ბატონებო, ჩვენც, თორემ აგრილდა და ფეხები ამტკივდა.

არკადინა. მართლა რა ხის ფეხები გაქვს, ძლივსღა დადიხარ. წამო, წავიდეთ, უბედურო ბებრუხანა. *(ხელმკლავით გადიან.)*

შამრაევი. *(ცოლს უწვდის ხელს.)* მადამ!

სორინი. ისევ ძაღლის ყმუილი ისმის. *(შამრაევს.)* გამოიჩინეთ გულისხმიერება, ილია აფანასიევიჩ, უბრძანეთ, რომ აუშვან.

შამრაევი. არ შეიძლება, პიოტრ ნიკოლაევიჩ, მეშინია, ბეღელში ქურდები არ შეიპარონ, მთელი ფეტვი იქა მაქვს. *(მიმავალი, ახლოს მყოფ მედვედენკოს.)* ესე იგი, მთელი ოქტავით დაბლა: „ბრავო, სილვა!“ არადა, მომღერალიც კი არაა, სინოდის უბრალო მგალობელია.

მედვედენკო. და სინოდის მგალობელს რამდენი აქვს ხელფასი? *(ყველა გადის დორნის გარდა.)*

დორნი. *(მარტო.)* არ ვიცი, შეიძლება, არაფერი გამეგება, ან სულაც გავგიჟდი კიდევაც, მაგრამ მე მომეწონა ეს პიესა. იყო მასში რაღაც. როცა ეს გოგო მარტოობაზე ლაპარაკობდა და მერე, ეშმაკის წითელი თვალები რომ გამოჩნდა, მღელვარებისგან ხელები ამიკანკალდა. ახლებურია, ცოტა გულუბრყვილოც... აი, მგონი, მოდის. მინდა, ერთი-ორი ტკბილი სიტყვა ვუთხრა.

ტრეპლიოვი. *(შემოდის.)* აღარავინ არაა.

დორნი. მე ვარ.

ტრეპლიოვი. მთელ პარკში მაშენკა დამეძებს, აუტანელი არსება.

დორნი. კონსტანტინ გავრილოვიჩ, მე თქვენი პიესა ძალზე მომეწონა. რაღაცნაირია, უცნაური, მართალია ფინალი ვერ მოვისმინე, თუმცა მაინც მოახდინა შთაბეჭდილება. თქვენ ნიჭიერი ადამიანი ხართ, უნდა განაგრძოთ ეს საქმე.

(ტრეპლიოვი მაგრად ართმევს ხელს და ნაჩქარევად გადაეხვევა.)

დორნი. ფუი, როგორ ღელავს. თვალებიც აცრემლებული აქვს... იცით, რისი თქმა მინდოდა? თქვენი სიუჟეტი განყენებულ იდეებზეა აგებული. ასეც უნდა იყოს, იმიტომ, რომ მხატვრული ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, რაღაც გარკვეულ აზრს უნდა ეფუძნებოდეს. მხოლოდ ისაა მშვენიერი, რაც სერიოზულია. როგორ გაფითრებულხართ?!

ტრეპლიოვი. მაშ, გინდათ თქვათ, გავაგრძელო?

დორნი. ჰო... მაგრამ აღწერეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი და მარადიული. ჩემი ცხოვრება, რაღა დაგიმალოთ, მრავალფეროვნებით იყო სავსე, და გემრიელადაც ვიცხოვრე, კმაყოფილი ვარ. მაგრამ მე რომ სულიერი ამაღლება განმეცადა, როგორც ეს მხატვრებს ემართებათ ხოლმე, მგონია, ვერ ავიტანდი ჩემს მატერიალურ გარსს, და საერთოდ ვერაფერს, რაც მას უკავშირდება, ამიტომაც დედამიწისგან შორს, ზეცისკენ გავემართებოდი.

ტრეპლიოვი. *(მოუთმენლად.)* ბოდიშს ვიხდი, ზარეჩნაია სად არის?

დორნი. ჰო, და კიდევ. ნაწარმოებში აუცილებლად უნდა იყოს მკაფიო, კონკრეტული აზრი. თქვენ უნდა იცოდეთ, რისთვის წერთ, თუ არადა, თუ მხატვრული აზროვნების გზას კონკრეტული მიზნის გარეშე დაუყვებით, აუცილებლად დაიკარგებით და თქვენივე ნიჭი დაგღუპავთ.

ტრეპლიოვი. *(მოუთმენლად.)* ზარეჩნაია სად არის?

დორნი. სახლში წავიდა.

ტრეპლიოვი. *(სასოწარკვეთილი.)* რა ვქნა? მისი ნახვა მინდა... აუცილებლად უნდა ვნახო... წავალ...

(შემოდის მაშა.)

დორნი. *(ტრეპლიოვს.)* დამშვიდდით, მეგობარო!

ტრეპლიოვი. და მაინც, წავალ! უნდა წავიდე!

მაშა. სახლში წადით, კონსტანტინ გავრილოვიჩ, დედა გელოდებათ, ნერვიულობს.

ტრეპლიოვი. უთხარით, რომ გავემგზავრე. და გევედრებით ყველას, თავი დამანებეთ! თავი დამანებეთ! უკან ნუ დამყვებით!

დორნი. აბა, აბა, აბა, ძვირფასო. ასე არ შეიძლება... არ არის კარგი.

ტრეპლიოვი. *(აცრემლებული.)* მშვიდობით, ექიმო. მადლობელი ვარ... *(გადის.)*

დორნი. *(ამოიოხრებს.)* ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა!

მაშა. სხვა სათქმელი როცა აღარ აქვთ, ასე ამბობენ ხოლმე: ახალგაზრდობა, ახალგაზრდობა... *(თამბაქოს ყნოსავს.)*

დორნი. *(ართმევს სათუთუნეს და ბუჩქებისკენ ისვრის.)* საზიზღრობაა! *(პაუზა.)* სახლში, ეტყობა, უკრავენ. წავიდეთ.

მაშა. მოითმინეთ!

დორნი. რა იყო?

მაშა. კიდევ ერთხელ უნდა გითხრათ. მინდა გელაპარაკოთ... *(მღელვარედ.)* არ მიყვარს მამაჩემი... ჩემი გული თქვენთანაა. რატომღაც მთელი არსებით ვგრძნობ, რომ ჩემთვის ახლობელი ხართ... დამეხმარეთ! დამეხმარეთ, თორემ რამე სისულელეს ჩავიდენ, დავცინებ ჩემს ცხოვრებას, გავანადგურებ... ასე აღარ შემიძლია...

დორნი. რა? რით დაგეხმარო?

მაშა. ვიტანჯები. არავის, არავის ესმის ჩემი ტანჯვა! *(მკერდზე თავს ადებს, ჩუმად.)* კონსტანტინი მიყვარს.

დორნი. ყველა როგორი ნერვიულია! როგორი ნერვიულია! და რამდენი სიყვარულია... ო, მომაჯადოებელო ტბაო! *(ნაზად.)* აბა, რა შემიძლია მოვიმოქმედო, შვილო ჩემო? რა? რა?

ფ ა რ დ ა

მეორე მოქმედება

კროკეტის მოედანი. მარჯვნივ, სცენის სიღრმეში, სახლია დიდი აივნით, მარცხნივ მოჩანს ტბა, რომელიც მზის სხივებს ირეკლავს. ყვავილნარი. შუადღე. ცხელა. ძველი ცაცხვის ჩრდილში სკამზე სხედან არკადინა, დორნი და მაშა. დორნს მუხლებზე უდევს გადაშლილი წიგნი.

არკადინა. *(მაშას.)* აი, დავდგეთ. *(ორივე დგება.)* ახლოს მომიდექით. თქვენ ხართ ოცდაორი წლის, მე კი – თითქმის ორჯერ მეტის. ევგენი სერგეევიჩ, ჩვენში რომელი უფრო გეახალგაზრდავებით?

დორნი. თქვენ, რასაკვირველია.

არკადინა. აი... და რატომ? იმიტომ, რომ მე ვმუშაობ, განვიცდი, სულ ვმოძრაობ, თქვენ კი ერთ ადგილას ზიხართ, არ ცხოვრობთ... თან მე ერთი წესი მაქვს: მომავლისკენ არასდროს ვიყურები. არასდროს ვფიქრობ არც სიბერეზე, არც – სიკვდილზე. რაც მოსახდენია, იმას ვერ გაექცევი.

მაშა. მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს დიდი ხნის წინ დავიბადე; ამ ჩემს ცხოვრებას კიდევ უსასრულო შლეიფივით მივათრევ... ხშირად სულ არ მეხალისება ცხოვრება... *(ჯდება.)* რასაკვირველია, ეს ყველაფერი სისულელეა. შეჯანჯღარება მჭირდება, უნდა მოვიშორო ეს აზრები.

დორნი. *(ღიღინით)* „უამბეთ მას, ყვავილებო ჩემო...“

არკადინა. ამასთანავე, მე ნამდვილი ინგლისელივით კორექტული ვარ. საყვარელი ვარ, თავი სულ ხელში მიჭირავს, როგორც იტყვიან, სულ ჩაცმულ-დახურული, დავარცხნილი და გამოვიყურები comme il faut.[1] რას ამბობთ, ჩემს თავს ვაკადრო სახლიდან გასვლა, თუნდაც, აი, აქ, ამ ეზოში, ჩაუცმელმა და დაუვარცხნელმა?! არასოდეს! იმიტომაც შევინარჩუნე ახალგაზრდობა, რომ არასოდეს ვყოფილვარ ჩანჩურასავით, თავი არასოდეს არ დამიკარგავს, ვიღაც-ვიღაცებისგან განსხვავებით... *(დოინჯშემოყრილი ეზოში გაივლის.)* ესეც თქვენ, პატარა გოგოსავით! თუ გინდათ თხუთმეტი წლისასაც ვითამაშებ.

დორნი. თქვენის ნებართვით, გავაგრძელებ. *(იღებს წიგნს.)* ჩვენ გავჩერდით ფქვილის მოვაჭრეებსა და ვირთხებზე...

---

[1] (ფრანგ.) – ისე, როგორც საჭიროა. **ავტ.**

არკადინა. და ვირთხებზე. წაიკითხეთ. *(ჯდება.)* ანდაც, მოდით, მე წავიკითხავ. ჩემი ჯერია. *(იღებს წიგნს და თვალებით ეძებს.)* და ვირთხებზე... აი, ისიც... *(კითხულობს.)* „და, ცხადია, მაღალი საზოგადოებისთვის რომანისტების განებივრება და თავისკენ მიზიდვა ისევე საშიშია, როგორც ფქვილის მოვაჭრეთათვის თავიანთ ბეღლებში ვირთხების მოშენება. არადა, ისინი მაინც უყვართ. მაშ ასე, როდესაც ქალი აირჩევს მწერალს, რომლის მოხიბლვაც სურს, ის მას თავს ესხმის კომპლიმენტებით, მოფერებითა და ალერსიანი მოპყრობით“. ჰო, ფრანგებთან შეიძლება ასეა, მაგრამ ჩვენთან არაფერი ამდაგვარი, არავითარი გეგმები. ჩვენთან ქალები, სანამ შეტევაზე გადავიდოდნენ, უკვე თავდავიწყებით შეყვარებულები არიან, რომ იცოდეთ. რაღა შორს წავიდე, შემოგვხედეთ აგერ მე და ტრიგორინს...

(შემოდის სორინი, ხელჯოხზე დაყრდნობილი, გვერდით მოყვება ნინა; მათ უკან მედვედენკო ცარიელ სავარძელს მოაგორებს.)

სორინი. *(ისეთი ტონით, თითქოს ბავშვს ეფერებოდეს.)* ჰო? დღეს სიხარული გვეწვია? გვეღირსა ბედნიერება, ბოლოს და ბოლოს? *(დას.)* ჩვენ სასიხარულო ამბავი გვაქვს! მამა და დედინაცვალი ტვერში გაემგზავრნენ და მთელი სამი დღე თავისუფალი ვართ!

ნინა. *(არკადინასთან ახლოს ჯდება და ეხუტება.)* უბედნიერესი ვარ! ახლა უკვე თქვენ გეკუთვნით.

სორინი. *(ჯდება თავის სავარძელში.)* დღეს რა კარგად გამოიყურება.

არკადინა. გამოპრანჭული, დახვეწილი... ჭკვიანი გოგონა ბრძანდებით. *(კოცნის ნინას.)* მაგრამ ძალიანაც ნუ შევაქებთ, თვალი არ ეცეს. ბორის ალექსეევიჩი სადაა?

ნინა. ტბაზე თევზაობს.

არკადინა. რომ არც ბეზრდება! *(კითხვის გაგრძელება უნდა.)*

ნინა. რას კითხულობთ?

არკადინა. მოპასანის „წყლის ზედაპირზე“, ძვირფასო. *(თავისთვის კითხულობს რამდენიმე წინადადებას.)* ჰო, დანარჩენი აღარც საინტერესოა და აღარც – მართალი. *(წიგნს ხურავს.)* მოუსვენრად ვარ. გამაგებინეთ, რა სჭირს ჩემს შვილს? რატომ არის ასეთი მკაცრი და მოსაწყენი? მთელ დროს ტბასთან ატარებს და თითქმის ვეღარც ვნახულობ.

მაშა. აწუხებს რაღაც. *(ნინას, მორცხვად.)* გთხოვთ, წაიკითხეთ რამე მისი პიესიდან!

ნინა. *(მხრებს იჩეჩს.)* მართლა გინდათ? უიმე, ეს ისეთი უინტერესოა!

მაშა. *(აღფრთოვანებას ფარავს.)* როცა რაღაცას კითხულობს, თვალები უბრწყინავს და სახე უფითრდება. მას საოცარი, სევდიანი ხმა აქვს; მანერებიც – პოეტისა.

(ისმის სორინის ხვრინვა.)

დორნი. ძილი ნებისა!

არკადინა. პეტრუშა!

სორინი. რა?

არკადინა. გძინავს?

სორინი. სულაც არა.

(პაუზა.)

არკადინა. არ მკურნალობ, ძმაო, არ არის ეს კარგი.

სორინი. დიდი სიამოვნებით ვიმკურნალებდი, მაგრამ ექიმი უარზეა.

დორნი. სამოცი წლის კაცის მკურნალობა!

სორინი. სამოცი წლის კაცსაც უნდა სიცოცხლე!

დორნი. *(გაბეზრებული.)* კარგი ერთი, მიიღეთ მაშინ ვალერიანის წვეთები.

არკადინა. მე მგონი არგებდა, სადმე მინერალურ წყლებზე წასულიყო.

დორნი. ვითომ? შეიძლება – წავიდეს, შეიძლება – არც წავიდეს.

არკადინა. მიდი და არკვიე ახლა.

დორნი. გასარკვევიც არაფერია, ყველაფერი ისე-დაც ნათელია.

(პაუზა.)

მედვედენკო. პიოტრ ნიკოლაევიჩმა, უმჯობესია, მოწევას თავი დაანებოს.

სორინი. სისულელე.

დორნი. არა, არ არის სისულელე. ღვინო და თამბაქო სახეს გაკარგვინებთ. სიგარისა და ჭიქა არყის მერე პიოტრ ნიკოლაევიჩი კი აღარ ხართ, არამედ პიოტრ ნიკოლაევიჩს პლუს კიდევ ვიღაც; თქვენ კარგავთ საკუთარ მეს და, აქედან გა-მომდინარე, თავს ისე ექცევით, როგორც ვიღაც მესამე პირს – მას.

სორინი. *(იცინის.)* თქვენთვის განსჯა ადვილია, თქვენს ჭკუაზე იცხოვრეთ, და მე? 28 წელი სა-სამართლო უწყებაში ვიმსახურე, მაგრამ ჯერ არც მიცხოვრია, არაფერი გამომიცდია, ბოლოს და ბოლოს, და გასაგებია, რომ ცხოვრება მინდა. თქვენ მაძღარი და გულგრილი ხართ, ამიტომაც იხრებით ასე ფილოსოფიისკენ, მე კი ცხოვრებას მოწყურებული ვარ და ამიტომაც სადილობისას ვსვამ ხერესს, ვეწევი სიგარებს და ეგეთები. მორ-ჩა და გათავდა!

დორნი. ცხოვრებას სერიოზულად უნდა მოეკი-დოთ, სამოცი წლის ასაკში მკურნალობა კი და

იმის დარდი, რომ ახალგაზდობაში საკმარისად ვერ ისიამოვნეთ, უკაცრავად და, ქარაფშუტობაა.

მაშა. *(წამოდგება.)* ახლა საუზმის დრო იქნება. *(მიდის ფეხის ათრევით.)* ფეხი დამიბუჟდა... *(გადის.)*

დორნი. წავა და საუზმემდე ორ ჭიქას ჩაარტყამს.

სორინი. საწყალს პირადი ბედნიერება არ გააჩნია.

დორნი. უაზრობაა, თქვენო აღმატებულებავ!

სორინი. მაძღარი კაცივით მსჯელობთ.

არკადინა. აჰ, რა უნდა იყოს ამ სოფლის საყვარელ მოწყენილობაზე უფრო მოსაწყენი! ცხელა, სიჩუმეა, არავინ არაფერს აკეთებს, ყველა ფილოსოფოსობს... კარგია თქვენთან, მეგობრებო, სასიამოვნოა თქვენი მოსმენა, მაგრამ... სასტუმროს ნომერში ჯდომა და როლზე მუშაობა გაცილებით ჯობს!

ნინა. *(აღფრთოვანებით.)* ზუსტად! მესმის თქვენი.

სორინი. რასაკვირველია, ქალაქში ჯობია. ზიხარ შენს კაბინეტში, მოსამსახურე ნებართვის გარეშე არავის უშვებს, ტელეფონიცაა... ქუჩაში მეეტლები და ეგეთები...

დორნი. *(ღიღინით.)* „უამბეთ მას, ყვავილებო ჩემო...“

(შემოდის შამრაევი, მას მოჰყვება პოლინა ანდრეევნა.)

შამრაევი. აი, ჩვენებიც! დღე მშვიდობისა! *(ხელზე კოცნის არკადინას, შემდეგ – ნინას.)* ძალზე მოხარუ-

ლი ვარ, ჯანმრთელებს რომ გხედავთ. *(არკადინას.)* მეუღლემ მითხრა, რომ დღეს მასთან ერთად ქალაქში აპირებთ. ეს მართალია?

არკადინა. კი, ვაპირებთ.

შამრაევი. ჰმ... დიდებულია, მაგრამ რითი წაბრძანდებით, ღრმად პატივცემულო? დღეს ჭვავის მოსავალს იღებენ, ყველა მუშა დაკავებულია. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რომელი ცხენებით მიბრძანდებით?

არკადინა. რომლებით? აბა მე რა ვიცი, რომლებით!

სორინი. სამგზავრო ცხენები ხომ გვყავს.

შამრაევი. *(აღელვებული.)* სამგზავრო? და ცალუღები სად ვიშოვო? ცალუღები სად ვიშოვო? გასაოცარია! წარმოუდგენელია, ღრმად პატივცემულო! ბოდიშს მოგახსენებთ, ქედს ვიხრი თქვენი ტალანტის წინაშე, მზად ვარ თქვენთვის სიცოცხლის ათი წელი დავთმო, მაგრამ ცხენებს ვერ მოგართმევთ!

არკადინა. კი, მაგრამ, წასასვლელე თუ ვარ? უცნაური ამბავია!

შამრაევი. ღრმად პატივცემულო! თქვენ არ გესმით, რა არის მეურნეობა!

არკადინა. *(გამწარებული.)* მოძველდა ეს ისტორია! თუ ასეა, მე დღესვე მივემგზავრები მოსკოვში.

სოფელში უბრძანეთ, ცხენები იქირავონ ჩემთვის, თორემ სადგურამდე ფეხით წავალ!

შამრაევი. *(გამწარებული.)* თუკი ასეა, ფეხს არ მოვიცვლი! სხვა მოურავი მოძებნეთ! *(გადის.)*

არკადინა. ყოველ ზაფხულს, ყოველ ზაფხულს აი, ასე მაყენებენ შეურაცხყოფას! ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ! *(გადის მარცხნივ, ტბისკენ; ერთ წუთში ჩანს, როგორ შედის შინ; უკან მიყვება ტრიგორინი ანკესითა და სათლით.)*

სორინი. *(გამწარებული.)* რა თავხედობაა! ეშმაკმა უწყის, საერთოდ რა ჰქვია ამ საქციელს! მომბეზრდა, ბოლოს და ბოლოს. სასწრაფოდ მოგვიყვანეთ ყველა ცხენი!

ნინა. *(პოლინა ანდრეევნას.)* უარი უთხრა ირინა ნიკოლაევნას, ცნობილ მსახიობს! ნუთუ ნებისმიერი მისი სურვილი, კაპრიზიც კი, თქვენს მეურნეობაზე მნიშვნელოვანი არაა?! უბრალოდ, დაუჯერებელია!

პოლინა ანდრეევნა. *(სასოწარკვეთილი.)* მე რა ვიღონო? შედით ჩემს მდგომარეობაშიც; მე რა შემიძლია?

სორინი. *(ნინას.)* წავიდეთ ჩემს დასთან... ყველა შევევედროთ, რომ არ წავიდეს. ხომ? *(იხედება იქით, სადაც შამრაევი გავიდა.)* აუტანელი კაცი! დესპოტი!

ნინა. *(არ აცდის წამოდგომას.)* ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ... ჩვენ მიგიყვანთ... *(ის და მედვედენკო მიაგორებენ სავარძელს.)* ო, რა საშინელებაა!..

სორინი. ჰო, ჰო, საშინელებაა... მაგრამ ახლა სად წამივა, ახლავე დაველაპარაკები. *(გადიან; რჩებიან მხოლოდ დორნი და პოლინა ანდრეევნა.)*

დორნი. ადამიანები მოსაწყენები არიან. წესით, ახლა თქვენი ქმარი ღირსი კი იყო, აქედან კინწისკვრით გაეგდო ვინმეს, არადა, ყველაფერი იმით დასრულდება, რომ ბოლოს ეს ბებრუხანა პიოტრ ნიკოლაევიჩი და მისი და აქეთ შეეხვეწებიან პატიებას. აგერ ნახავთ!

პოლინა ანდრეევნა. სამგზავრო ცხენებიც მინდორში გაუშვა. და ყოველდღე მსგავსი გაუგებრობები ხდება. ნეტა იცოდეთ, როგორ მანერვიულებს ეს ყოველივე! ცუდად ვხდები; აი, ხედავთ, ვკანკალებ... ვერ ვიტან მის უხეშობას. *(მუდარით.)* ევგენი, ძვირფასო, მშვენიერო, წამიყვანეთ თქვენთან... ჩვენი დრო მიდის, აღარ ვართ ახალგაზრდები, ცხოვრების დასასრულს მაინც ნუღარ დავიმალებით, ნუ მოვიტყუებით... *(პაუზა.)*

დორნი. მე 55 წლისა ვარ, დაგვიანებულია ცხოვრების შეცვლა.

პოლინა ანდრეევნა. ვიცი, თქვენ უარს იმიტომ მეუბნებით, რომ ჩემს გარდა სხვა ახლობელი ქალებიც გყავთ. ყველას თქვენთან ვერ წაიყვანთ. მესმის. მაპატიეთ, თავი მოგაბეზრეთ.

(ნინა გამოჩნდება სახლთან; ყვავილებს კრეფს.)

დორნი. არა, არაფერია.

პოლინა ანდრეევნა. ეჭვიანობა მტანჯავს. რა თქმა უნდა, ექიმი ხართ, თქვენ ქალებს ვერ გაექცევით. მესმის...

დორნი. *(ნინას, რომელიც მათ უახლოვდება.)* რა ხდება იქით?

ნინა. ირინა ნიკოლაევნა ტირის, პიოტრ ნიკოლაევიჩს კი ასთმა აქვს.

დორნი. *(წამოდგება.)* წავედი, ვალერიანის წვეთები დავალევინო ორივეს...

ნინა. *(ყვავილებს აწვდის.)* ინებეთ!

დორნი. Mersi bien. *(სახლისკენ მიდის.)*

პოლინა ანდრეევნა. *(მიყვება დორნს.)* რა საყვარელი ყვავილებია! *(სახლთან, ყრუდ.)* მომეცით ეს ყვავილები! მომეცით ეს ყვავილები! *(ართმევს ყვავილებს, შემდეგ გლეჯს მათ და ძირს ყრის; ორივენი სახლში შედიან.)*

ნინა. *(მარტო.)* რა უცნაურია, ხედავდე, როგორ ტირის ცნობილი მსახიობი, თანაც ასეთი უბრალო მიზეზით! და გასაკვირი არაა, რომ ცნობილი მწერალი, რომელიც ხალხს უყვარს, რომელზეც გაზეთებში წერენ, რომლის პორტრეტებიც იყიდება, ხოლო მის ნაწარმოებებს უცხო ენებზე თარგმნიან, მთელი დღე თევზაობს და უხარია, რომ ორი ქაშაყი დაიჭირა. მეგონა, ცნობილი

ადამიანები ამაყები, მიუწვდომელნი იყვნენ, რომ ეზიზღებათ ბრბო, და თავიანთი დიდებით, თავიანთი ბრწყინვალებით თითქოს შურს იძიებენ იმაზე, რომ ბრბო ადამიანში მხოლოდ სიმდიდრესა და წარმომავლობას აფასებს. მაგრამ აი, ტირიან, თევზაობენ, ბანქოს თამაშობენ, იცინიან და ბრაზობენ, როგორც სხვები...

ტრეპლიოვი. *(შემოდის ქუდის გარეშე, იარაღითა და მოკლული თოლიით.)* მარტო ხართ?

ნინა. მარტო ვარ.

(ტრეპლიოვი ფეხებთან თოლიას უგდებს.)

ნინა. ეს რას ნიშნავს?

ტრეპლიოვი. დღეს მეყო უსინდისობა და აი, ეს თოლია მოვკალი. ვდებ თქვენს ფეხებთან.

ნინა. რა გჭირთ? *(ხელში იღებს თოლიას და უყურებს.)*

ტრეპლიოვი. *(პაუზის შემდეგ.)* სულ მალე, ზუსტად ასე, თავსაც მოვიკლავ.

ნინა. ვერა გცნობთ.

ტრეპლიოვი. ჰო, მას შემდეგ, რაც მე ვეღარა გცნობთ. თქვენ შეიცვალეთ ჩემს მიმართ, თქვენი მზერა ცივია, ჩემი სიახლოვე გაწუხებთ.

ნინა. ბოლო დროს გამაღიზიანებელი გახდით, სულ გაურკვევლად ლაპარაკობთ, რაღაც სიმბოლოებით. ეს თოლიაც, როგორც ჩანს, რაღაცის

სიმბოლოა, რომელიც, მაპატიეთ, მაგრამ არ მესმის... *(სკამზე დებს თოლიას.)* მეტისმეტად უბრალო ვარ, რომ გაგიგოთ.

ტრეპლიოვი. ეს ყველაფერი იმ საღამოს დაიწყო, როცა ჩემი პიესა ასე სულელურად ჩავარდა. ქალები წარუმატებლობას არ პატიობენ. ყველაფერი დავწვი, უკანასკნელ ფურცლამდე. ნეტა იცოდეთ, რა უბედური ვარ! თქვენი გაციება მაშინებს, წარმოუდგენელია, თითქოს გავიღვიძე და აი, ვხედავ, ეს ტბა როგორ დაშრა ან მიწაში ჩაიძირა. ამბობთ, რომ არ შეგიძლიათ ჩემი გაგება. რა არის აქ გაუგებარი?! პიესა არ მოგეწონათ, ჩემს შთაგონებას ვერ იტანთ, უკვე თვლით, რომ უფერული და უვარგისი ვარ, როგორც სხვები... *(ფეხს აბაკუნებს.)* რა კარგად მესმის ეს, როგორ მესმის! ტვინში თითქოს ლურსმანი ჩამერჭო, წყეულიმც იყოს ჩემს თავმოყვარეობასთან ერთად, რომელიც სისხლსა მწოვს, გველივით მწოვს სისხლს... *(დანახვისას ტრიგორინს, რომელიც წიგნის კითხვით მოდის.)* აი, მოდის ჭეშმარიტი ტალანტი; მოემართება, როგორც ჰამლეტი, თანაც წიგნაკით ხელში. *(გააჯავრებს.)* „სიტყვა, სიტყვა, სიტყვა...“ ეს მზე ჯერ თქვენ არ მოგდგომიათ და უკვე იღიმით, თქვენი მზერა მის სხივებში დნება. ხელს არ შეგიშლით. *(სწრაფად გადის.)*

ტრიგორინი. *(იწერს წიგნაკში.)* თამბაქოს ყნოსავს და არაყს სვამს... სულ შავებშია. მასწავლებელს უყვარს...

ნინა. გამარჯობა, ბორის ალექსეევიჩ!

ტრიგორინი. გამარჯობა! გარემოებები მოულოდნელად ისე დალაგდა, რომ, როგორც ჩანს, დღეს მივემგზავრებით. მე და თქვენ ალბათ ერთმანეთს ვეღარც შევხვდებით. სამწუხაროა. არცთუ ისე ხშირად მიწევს შევხვდე ახალგაზრდა, საინტერესო გოგონებს, დამავიწყდა და მიჭირს მკაფიოდ წარმოვიდგინო, როგორ გრძნობენ თავს 18-19 წლის ასაკში, ამიტომაც ჩემს ნოველებსა და რომანებში ახალგაზრდა გოგონები, ჩვეულებრივ, ყალბები არიან. ვისურვებდი, ერთი საათით მაინც მამყოფა თქვენს ადგილას, რათა გამეგო, როგორ ფიქრობთ, და საერთოდ, რანაირი ხართ.

ნინა. მე კი თქვენს ადგილას ყოფნას ვისურვებდი.

ტრიგორინი. რატომ?

ნინა. რომ ვიცოდე, თავს როგორ გრძნობს ნიჭიერი, ცნობილი მწერალი. პოპულარობა როგორი შეგრძნებაა? როგორ შეიგრძნობთ იმას, რომ ცნობილი ხართ?

ტრიგორინი. როგორ? ალბათ, არანაირად. ამაზე არასდროს მიფიქრია. *(ჩაფიქრებული.)* მგონი ამ ორიდან ერთ-ერთია: თქვენ ან აზვიადებთ ჩემს პოპულარობას, ან იგი საერთოდ არ იგრძნობა.

ნინა. და გაზეთებში თუ კითხულობთ თქვენზე?

ტრიგორინი. როცა მაქებენ – მსიამოვნებს, როცა მლანძღავენ – მერე ორი დღე ცუდ გუნებაზე ვარ.

ნინა. საოცარია თქვენი სამყარო! როგორ მშურს თქვენი, ნეტავ იცოდეთ! ადამიანების ბედისწერა სხვადასხვანაირია. ზოგი ძლივს მიათრევს თავის მოსაწყენ, შეუმჩნეველ არსებობას; ყველა ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედურია; დანარჩენებს კი, მაგალითად, თქვენ – თქვენ მილიონში ერთი ხართ – წილად გხვდათ საინტერესო ცხოვრება, ნათელი, რომელიც აზრითაა სავსე... თქვენ ბედნიერი ხართ...

ტრიგორინი. მე? *(მხრების აჩეჩვით.)* ჰმ... თქვენ საუბრობთ პოპულარობაზე, ბედნიერებაზე, რაღაც ნათელ, საინტერესო ცხოვრებაზე, ჩემთვის კი ეს უბრალოდ, ბოდიში და, ლამაზი სიტყვებია, როგორც მარმელადი, რომელსაც არასდროს ვჭამ. ძალიან ახალგაზრდა და ძალიან კეთილი ხართ.

ნინა. თქვენი ცხოვრება მშვენიერია!

ტრიგორინი. რა არის მასში განსაკუთრებული? *(საათს უყურებს.)* ახლა უნდა წავიდე და ვწერო. ბოდიშს ვიხდი, არ მცალია... *(იცინის.)* თქვენ, როგორც იტყვიან, ჩემს საყვარელ წერტილში ჩამაჭირეთ და აი, მეც უკვე ნელ-ნელა ავღელდი და ავფორიაქდი. კარგი, მოდი ვილაპარაკოთ. ვილაპარაკოთ ჩემს მშვენიერ, ნათელ ცხოვრებაზე... აბა, რითი დავიწყოთ? *(დაფიქრების შემდეგ.)* არსებობს იძულებითი წარმოდგენები, როცა

ადამიანი დღედაღამ ფიქრობს, მაგალითად, სულ მთვარეზე და მეც მაქვს ჩემი მთვარე. დღედაღამ მიპყრობს ერთი და იგივე აკვიატებული აზრი: მე უნდა ვწერო, უნდა ვწერო, უნდა... ეს-ესაა მოვრჩი თხზულებას და მაშინვე უნდა დავიწყო ახალი, მერე – მესამე, მესამის მერე – მეოთხე... ვწერ გაუჩერებლად, ფოსტის ცხენივით წრეზე დავდივარ, სხვაგვარად არც შემიძლია. რა არის ამაში მშვენიერი და ნათელი, გეკითხებით? ო, რა გიჟური ცხოვრებაა! აი, თქვენთან ვარ, მაგრამ მაინც ვღელავ და მთელი ამ დროის განმავლობაში მახსოვს, რომ მელოდება დაუმთავრებელი მოთხრობა. ვხედავ ღრუბელს, რომელიც როიალს ჰგავს. ვფიქრობ: სადმე ჩემს მოთხრობაში უნდა ვახსენო, რომ მიცურავდა ღრუბელი, რომელიც როიალს ჰგავდა. ჰელიოტროპის სუნია. სასწრაფოდ ვიმახსოვრებ: მსუყე სურნელი, ქვრივის შეფერილობა, აუცილებლად უნდა ვახსენო ზაფხულის საღამოს აღწერისას. ვიჭერ საკუთარ თავსა და თქვენც თითოეულ ფრაზაზე, თითოეულ სიტყვაზე და ვჩქარობ, რაც შეიძლება მალე გამოვკეტო ყოველი ეს ფრაზა ჩემს ლიტერატურულ საკუჭნაოში – ეგებ გამომადგეს! მუშაობას როცა დავასრულებ, გავრბივარ ან თეატრში, ან სათევზაოდ; იქნებ იქ მაინც შევძლო დასვენება, განტვირთვა, მაგრამ არა – თავში უკვე ახალი სიუჟეტი ტრიალებს, რომელიც მაგიდისკენ მექაჩება, მეც უნდა ვიჩქარო, ვწერო და ვწერო. და ყოველთვის ასე, ყოველ-

თვის, და არ მასვენებს საკუთარი თავი, ვგრძნობ, რომ ვხრავ საკუთარ სიცოცხლეს, ვგრძნობ, რომ თაფლისთვის, რომელსაც ვიღაცას ვუგზავნი ასე უგზო-უკვლოდ, ჩემო საუკეთესო ყვავილებიდან ვაგროვებ მტვერს, მერე კი ვწყვეტ ამ ყვავილებს და მათ ფესვებზე დავაბიჯებ. ახლა მე გიჟი არა ვარ? ნუთუ ახლობლებსა და ნაცნობებს ჩემთან თავი ისე უჭირავთ, როგორც ჯანმრთელ ადამიანთან? „რას დაგვიწერთ? რას მოგვიძღვნით?“ ერთი და იგივე, ერთი და იგივე, და მეჩვენება, რომ ნაცნობების ეს ყურადღება, ქება-დიდება, აღფრთოვანება – ცარიელი ტყუილია. მატყუებენ, როგორც ავადმყოფს, და ხანდახან მეშინია, რომ ეს-ესაა ვიღაც მომეპარება უკნიდან, დამიჭერს და, პოპრიშინისა არ იყოს, საგიჟეთში წამათრევს. იმ წლებში კი, როცა ახალგაზრდა ვიყავი, საუკეთესო წლებში, წერა როცა დავიწყე, ჩემი მწერლობა იყო გაუთავებელი ტანჯვა. პატარა მწერალი, განსაკუთრებით, როცა მას არ უმართლებს, ტოვებს მოუქნელი, უხერხული, ზედმეტი ადამიანის შთაბეჭდილებას, ნერვებაშლილია, დაძაბული; გაუჩერებლად დაეხეტება იმ ადამიანებთან, რომლებსაც ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან რაღაც კავშირი აქვთ; დაუფასებელია, მწერლად მას არავინ ცნობს, ვერავინ ამჩნევს, ამიტომაც ეშინია, სხვებს პირდაპირ და თამამად გაუსწოროს თვალი. შეპყრობილია მოთამაშესავით, თან ფულიც რომ არა აქვს! ჩემი მკითხველი

არ მინახავს, მაგრამ რატომღაც წარმომიდგენია, თითქოს არამეგობრული, უნდობელი უნდა იყოს. მე ხალხის მეშინოდა, მაშინებდა ბრბო, და, როცა ჩემს ახალ პიესებს ვდგამდი, მეჩვენებოდა, რომ შავგვრემანები მტრულად იყვნენ განწყობილნი, ქერები კი – გულგრილად. ო, რა საშინელებაა! რამხელა ტანჯვა იყო!

ნინა. უკაცრავად, მაგრამ ნუთუ შთაგონება და შემოქმედებითი პროცესი არ განიჭებთ უზენაეს, უბედნიერეს წუთებს?

ტრიგორინი. ჰო! როცა ვწერ, მსიამოვნებს. კორექტურის კითხვაც სასიამოვნოა, მაგრამ... დაბეჭდილს უკვე ვეღარ ვიტან. ვხედავ, რომ ეს ის არაა, შეცდომაა, რომ ჯობდა საერთოდ არ დამეწერა და გული მწყდება, ხასიათი მიფუჭდება. *(სიცილით.)* ხალხი კი ფიქრობს: „ჰო! კარგია, უნიჭობა არაა... კარგია, მაგრამ ტოლსტოიმდე ბევრი უკლია“, ან კიდევ: „გადასარევი რამაა, მაგრამ ტურგენევის „მამები და შვილები“ ჯობია“. და ასე კუბოს ფიცრამდე ყველაფერი იქნება კარგი, კარგი და არა უნიჭობა – მეტი არაფერი, და როცა მოვკვდები, ნაცნობები საფლავთან ჩავლისას იტყვიან: „აქ განისვენებს ტრიგორინი. კარგი მწერალი იყო, მაგრამ ტურგენევზე უკეთ ვერ წერდა“.

ნინა. ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ მსურს თქვენი გაგება. თქვენ წარმატებამ გაგანებივრათ.

ტრიგორინი. რომელმა წარმატებამ? საკუთარი თავი არასდროს მომწონდა. როგორც მწერალი, ჩემი თავი არ მიყვარს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მე რაღაც ბურანში ვარ და ვერც ვიგებ, რას ვწერ... მიყვარს ეს წყალი, ხეები, ცა, ბუნებას ვგრძნობ, ის ჩემში რაღაც წვას იწვევს, წერის დაუოკებელ სურვილს, მაგრამ მე ხომ მხოლოდ პეიზაჟისტი არ ვარ, მე ხომ მოქალაქეც ვარ, სამშობლო მიყვარს, ხალხი, ვგრძნობ, რომ თუ მწერალი ვარ, ხალხზეც უნდა ვილაპარაკო, მათ ტკივილზე, მათ მომავალზე, ვილაპარაკო მეცნიერებაზე, ადამიანთა უფლებებზე და ა. შ. და მე ყველაფერზე ვლაპარაკობ, ვჩქარობ, ყველა მხრიდან მავიწროებენ, მიბრაზდებიან, მე მივქრივარ ერთი მხრიდან მეორისაკენ, როგორც ძაღლების ალყაში მოხვედრილი მელია. ვხედავ, რომ ცხოვრება და მეცნიერება სულ წინ და წინ მიიწევს, მე კი ჩამოვრჩი, როგორც კაცი, რომელმაც მატარებელს ვერ მიუსწრო, და, ბოლოს და ბოლოს, ვგრძნობ, რომ მხოლოდ პეიზაჟების აღწერა გამომდის, ყველაფერი დანარჩენი კი – ყალბია, სიყალბეა თხემით ტერფამდე.

ნინა. თქვენ ბევრს მუშაობთ და იმისი არც დრო გაქვთ და არც სურვილი, რომ გაიაზროთ თქვენი მნიშვნელობა. თუნდაც უკმაყოფილო იყოთ საკუთარი თავით, მაგრამ სხვებისთვის თქვენ დიდი და მშვენიერი ხართ! მე რომ თქვენნაირი მწერალი ვიყო, მთელ ჩემს ცხოვრებას ხალხს მივუძღ-

ვნიდი, ოღონდ იმის შეგნებით, რომ ბედნიერება მხოლოდ ისაა, მკითხველი ჩემამდე ავამაღლო, და მერე ეტლით მატარონ...

ტრიგორინი. ოჰ, ეტლით... რა, აგამემნონი ვარ? *(ორივე იღიმის.)*

ნინა. ისეთი ბედნიერებისთვის, როგორიცაა მწერლობა ან მსახიობობა, ყველაფერს ავიტანდი: ახლობლების ზიზღს, სიღარიბეს, იმედგაცრუებას, სახურავის ქვეშ ვიცხოვრებდი და შავ პურს შევჭამდი. საკუთარი თავის მიმართ უკმაყოფილებითაც დავიტანჯებოდი, თუკი რამეს ვერ შევძლებდი სრულყოფილად, ოღონდ დიდებისთვის მიმეღწია.... ჭეშმარიტი დიდებისთვის... *(სახეზე ხელებს აიფარებს.)* თავბრუ მეხვევა... უჰ!..

არკადინას ხმა. *(სახლიდან.)* ბორის ალექსეევიჩ!

ტრიგორინი. მეძახიან... ალბათ ბარგის ჩასალაგებლად. არადა, არ მინდა გამგზავრება. *(ტბისკენ იხედება.)* ეჰ, რა სანახაობაა!.. დიდებული!

ნინა. იქითა ნაპირზე სახლსა და ბაღს ხედავთ?

ტრიგორინი. დიახ.

ნინა. ეს ცხონებული დედაჩემის მამულია. მანდ დავიბადე. მე მთელი ცხოვრება ამ ტბაზე გავატარე და მისი ყველა კუთხე-კუნჭული ვიცი.

ტრიგორინი. კარგია აქ! *(ამჩნევს თოლიას.)* ეს რა არის?

ნინა. თოლია. კონსტანტინ გავრილიჩმა მოკლა.

ტრიგორინი. ლამაზი ფრინველია. ჰო, ნამდვილად არ მინდა გამგზავრება. აი, დაითანხმეთ ირინა ნიკოლაევნა, რომ დარჩეს. *(წიგნაკში იწერს.)*

ნინა. რას წერთ?

ტრიგორინი. ასე, ვიწერ ჩემთვის... სიუჟეტი მომაფიქრდა... *(წიგნაკს ინახავს.)* სიუჟეტი პატარა მოთხრობისათვის: ტბის ნაპირზე ბავშვობიდან ცხოვრობს ყმაწვილი ქალი, ისეთი, როგორც თქვენ; უყვარს ტბა, როგორც თოლიას, და ბედნიერია, თავისუფალია, როგორც თოლია. მაგრამ შემთხვევით გამოჩნდა ადამიანი, დაინახა და უსაქმურობისგან დაღუპა იგი, როგორც აი, ეს თოლია.

(პაუზა.)

(ფანჯარაში არკადინა გამოჩნდება.)

არკადინა. ბორის ალექსეევიჩ, სად ხართ?

ტრიგორინი. ახლავე! *(მიდის და ნინას გამოხედავს; ფანჯარასთან, არკადინას.)* ბატონო.

არკადინა. ვრჩებით.

(ტრიგორინი სახლში შედის.)

ნინა. *(უახლოვდება; ხანმოკლე ფიქრის შემდეგ.)* სიზმარში ვარ!

ფ ა რ დ ა

მესამე მოქმედება

სორინის სახლის სასადილო ოთახი. მარჯვნივ და მარცხნივ კარია. ბუფეტი. კარადა, რომელშიც წამლები აწყვია. ოთახის შუაში მაგიდა დგას. ჩანთა და მუყაოს ყუთები. აშკარად სამგზავრო მზადებაა. ტრიგორინი საუზმობს, მაშა მაგიდასთან დგას.

მაშა. ამ ყველაფერს გიყვებით, როგორც მწერალს. შეგიძლიათ გამოიყენოთ. გულწრფელად გეუბნებით: მას სერიოზულად რომ დაეჭრა თავი, არც ერთი წუთით აღარ ვიცოცხლებდი. და მაინც, რა ძლიერი ვარ. აი, ავდექი და გადავწყვიტე: ამოვიგლეჯ ამ სიყვარულს გულიდან, ძირფესვიანად ამოვიგლეჯ.

ტრიგორინი. როგორ?

მაშა. ვთხოვდები. მედვედენკოზე.

ტრიგორინი. მასწავლებელზე?

მაშა. დიახ!

ტრიგორინი. ვერ ვხვდები, რა აუცილებლობაა.

მაშა. გიყვარდეს უიმედოდ, მთელი წლები ელოდო რაღაცას... აი, გავთხოვდები თუ არა, სიყვარულის დროც აღარ მექნება, ახალი საქმეები ყველაფერ ძველს გადაფარავს. ცვლილებაა მაინც, ხომ ხვდებით? ხომ არ გავიმეოროთ?

ტრიგორინი. ბევრი არ მოგვივა?

მაშა. კარგი რა! *(ჭიქაში უსხამს.)* ეგრე ნუ მიყურებთ. ქალები უფრო ხშირად სვამენ, ვიდრე გგონიათ. უბრალოდ, უმცირესობა ვსვამთ ასე, ღიად, როგორც მე, უმრავლესობა – ჩუმად. დიახაც! თან სულ არაყს ან კონიაკს. *(ჭიქას მიუჭახუნებს.)* გაგიმარჯოთ! თქვენ უბრალო ადამიანი ხართ, დასანანია თქვენთან დაშორება. *(სვამენ.)*

ტრიგორინი. მე თვითონაც არ მინდა გამგზავრება.

მაშა. სთხოვეთ თქვენც, რომ დარჩეს.

ტრიგორინი. არა, ახლა უკვე აღარ დარჩება. შვილი ძალიან უტაქტოდ იქცევა. ჯერ იყო და, თავის მოკვლა სცადა, ახლა კიდევ, ამბობენ, დუელში გამოწვევას მიპირებს. რისი გულისთვის? ბრაზობს, ჭირვეულობს, ახალ ფორმებს იგონებს... არადა, ადგილი ხომ ყველასთვისაა, ძველებისთვისაც და ახლებისთვისაც, რა საჭიროა ჭიდაობა?

მაშა. ეჰ, ეჭვიანობს. პრინციპში, რა ჩემი საქმეა.

(პაუზა. იაკობი გადადის მარცხენა კულისიდან მარჯვენაში, ჩანთით ხელში; შემოდის ნინა და ფანჯარასთან ჩერდება.)

მაშა. ჩემი მასწავლებელი არც ისე ჭკვიანია, მაგრამ კეთილი, ღარიბი კაცია, და ძალიან ვუყვარვარ. მეცოდება. მოხუცი დედამისიც მეცოდება. მოკლედ, ნება მიბოძეთ, გისურვოთ ყველაფერი საუკეთესო. ცუდად ნუ გამიხსენებთ. *(მაგრად ჩამოართმევს ხელს.)* ძალიან მადლობელი ვარ ასეთი კეთილგანწყობისთვის. გამომიგზავნეთ თქვენი წიგნები, რაღა თქმა უნდა, ავტოგრაფებით. ოღონდ ნუ დაწერთ ასე: „ღრმად პატივცემულო“, არამედ უბრალოდ: „მარიას, ყველასა და ყველაფრის დამვიწყებელს, რომელსაც ვერც გაუგია, რისთვის არსებობს ამქვეყნად“. მშვიდობით! *(გადის.)*

ნინა. *(მარჯვენა მუშტს გაუწვდის ტრიგორინს.)* კენტია თუ ლუწი?

ტრიგორინი. ლუწი.

ნინა. *(ამოისუნთქებს)* არა! ხელში ერთადერთი გროშიღა მაქვს. ჩავიფიქრე: გავხდე თუ არა მსახიობი? იქნებ, რჩევა მაინც მოეცა ვინმეს.

ტრიგორინი. მაგას ვერავინ გირჩევთ. *(პაუზა.)*

ნინა. დავემშვიდობებით ერთმანეთს და... ალბათ, აღარც შევხვდებით. მინდა გთხოვოთ, რომ

ჩემგან სამახსოვროდ ეს პატარა მედალიონი მიიღოთ. შევუკვეთე, რომ თქვენი ინიციალები ამოეტვიფრათ... მეორე მხარეს კი თქვენი წიგნის სათაურია: „დღეები და ღამეები“.

ტრიგორინი. როგორი გრაციოზულია! *(კოცნის მედალიონს.)* შესანიშნავი საჩუქარია!

ნინა. გამიხსენეთ ხოლმე.

ტრიგორინი. გაგიხსენებთ. გაგიხსენებთ ისეთს, როგორიც იყავით იმ ნათელ დღეს. გახსოვთ, ერთი კვირის წინ ფერადი კაბა რომ გეცვათ?.. ჩვენ ვლაპარაკობდით... სკამზე ჯერ კიდევ ეგდო თეთრი თოლია...

ნინა. *(ჩაფიქრებული.)* ჰო, თოლია... *(პაუზა.)* მეტს ვეღარ ვილაპარაკებთ, ვიღაც მოდის... გამგზავრებამდე, გემუდარებით, ორი წუთი მომეცით... *(გადის მარცხნივ; ზუსტად ამ დროს მარჯვნიდან შემოდიან არკადინა, ფრაკში გამოწყობილი სორინი – მკერდზე ვარსკვლავით, შემდეგ იაკობი, რომელიც ბარგის ჩალაგებითაა გართული.)*

არკადინა. დარჩი, ბებერო, სახლში. ასე ჩამოუვლი ხოლმე სტუმრებს ამ შენი რევმატიზმით? *(ტრიგორინს.)* ახლა ვინ გავიდა? ნინა?

ტრიგორინი. ჰო.

არკადინა. Pardon, ხელი შეგიშალეთ... *(ჯდება.)* მგონი, ყველაფერი ჩავალაგე. დავიტანჯე.

ტრიგორინი. *(კითხულობს მედალიონზე.)* „დღეები და ღამეები“, გვერდი 121, მე-11 და მე-12 სტრიქონები.

იაკობი. *(მაგიდას ალაგებს.)* ანკესების ჩალაგება გნებავთ?

ტრიგორინი. ჰო, კიდევ დამჭირდება, წიგნები კი ვინმეს მიეცი.

იაკობი. კი ბატონო!

ტრიგორინი. *(თავისთვის.)* გვერდი 121, მე-11 და მე-12 სტრიქონები. რა წერია ამ სტრიქონებში? *(არკადინას.)* ამ სახლში არის ჩემი წიგნები?

არკადინა. ჩემს ძმას აქვს კაბინეტში, კუთხის თაროზე.

ტრიგორინი. გვერდი 121... *(გადის.)*

არკადინა. მართლა რა, პეტრუშა, დარჩენილიყავი სახლში.

სორინი. თქვენ მიემგზავრებით, მე კი აქ უთქვენოდ გამიჭირდება...

არკადინა. და ქალაქში რაღაა?

სორინი. დიდი არაფერი, მაგრამ მაინც. *(იცინის.)* ერობის სახლს აშენებენო და ეგეთები... ზოგჯერ მინდება 1-2 საათით მაინც დავაღწიო თავი ამ გლეხურ ცხოვრებას, თორემ ძალიან უსაქმოდ ვარ, მართლა ძველ მუნდშტუკს დავემსგავსე.

ვუბრძანე, პირველისთვის მოიყვანონ ცხენები, ჰოდა, ერთად გავალთ.

არკადინა. *(პაუზის შემდეგ.)* მაშ, აქ იცხოვრე, არ მოიწყინო, არ გაცივდე. ჩემს შვილს ყურადღება მიაქციე, მოუფრთხილდი, დაარიგე ხოლმე... *(პაუზა.)* აი, ისე მივდივარ, რომ მაინც ვერ გამიგია, რისთვის იკლავდა თავს კონსტანტინი. მგონია, რომ მთავარი მიზეზი მაინც ეჭვიანობაა და, ტრიგორინს რაც უფრო მალე წავიყვან აქედან, მით უკეთესი.

სორინი. როგორ აგიხსნა? სხვა მიზეზებიც იყო. გასაგებია, ახალგაზრდა კაცია, ჭკვიანი, სოფელში ცხოვრობს, მოწყვეტილი, უფულო, უმუშევარი, მომავლის გარეშე. საქმეც არა აქვს. რცხვენია ამდენი უსაქმურობა. ძალიან მიყვარს და ვგრძნობ, როგორ მომეჩვია, მაგრამ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ეჩვენება, თითქოს ზედმეტია ამ სახლში, თითქოს მდგმური იყოს და სხვისი სარჩენი. გასაგები რამაა თავმოყვარეობა...

არკადინა. დამტანჯა ამ ბავშვმა. *(ჩაფიქრებული.)* იქნებ მუშაობა დაეწყო...

სორინი. *(უსტვენს, შემდეგ – გაუბედავად.)* მე მგონია, ყველაზე კარგი იქნებოდა, თუკი შენ... ცოტა ფულს მისცემდი. პირველ რიგში ადამიანურად ჩაცმა სჭირდება და ეგეთები. შეხედე, სულ ერთი და იგივე გასაცოდავებული სერთუკი აცვია, უპალტოოდ დაიარება, უკვე სამი წელია... *(იცი-*

ნის.) ცოტა გასეირნებაც არ აწყენდა სადმე... საზღვარგარეთ, მაგალითად... ეს ხომ არც ისე ძვირი ჯდება.

არკადინა. კარგი ერთი... ტანსაცმლისთვის კიდევ შეიძლება და საზღვარგარეთ გასაშვებად... არა, ამ წუთას ტანსაცმლისთვისაც არა მაქვს. *(მტკიცედ.)* არა მაქვს ფული!

(სორინი იცინის.)

არკადინა. არა!

სორინი. *(უსტვენს.)* მაპატიე, ძვირფასო, ნუ ბრაზობ. მჯერა შენი... შენ ხელგაშლილი, კეთილშობილი ქალი ხარ.

არკადინა. *(თვალცრემლიანი.)* არა მაქვს ფული!

სორინი. ფული რომ მქონდეს, გასაგებია, მე თვითონ მივცემდი, მაგრამ არც მე მაქვს რამე, არც ერთი კაპიკი. *(იცინის.)* მთელი ჩემი პენსია მოურავს მიაქვს: მიწათმოქმედებისთვის, მეცხოველეობისთვის, მეფუტკრეობისთვის და ასე, იკარგება ეს ჩემი ფული. ფუტკრები გაწყდნენ, ძროხებიც გაწყდნენ, ცხენებს კი არასდროს არ მაღირსებენ...

არკადინა. მე მაქვს ფული, მაგრამ მე ხომ მსახიობი ვარ; მარტო გარეგნობაზე ზრუნვაც გაკოტრებაა ჩემთვის.

სორინი. კეთილი ხარ, ძვირფასო... პატივს გცემ... ჰო... მაგრამ ისევ რაღაც მაწუხებს... *(ქანაობს.)*

თავბრუ მეხვევა. *(მაგიდას ეყრდნობა.)* ცუდად ვარ და ეგეთები.

არკადინა. *(შეშინებული.)* პეტრუშა! *(ცდილობს დაიჭიროს.)* პეტრუშა, ძვირფასო... *(ყვირის.)* დამეხმარეთ! დამეხმარეთ!

(შემოდიან თავშეხვეული ტრეპლიოვი და მედვედენკო.)

არკადინა. ცუდადაა!

სორინი. არა უშავს, არა უშავს... *(ღიმის და წყალს სვამს.)* გაიარა უკვე... და ეგეთები...

ტრეპლიოვი. *(დედას.)* ნუ გეშინია, დედა, საშიში არ არის, ბიძიას ასე ხშირად ემართება ხოლმე. *(ბიძას.)* წამოწოლა გჭირდება, ბიძია.

სორინი. ჰო, მჭირდება... და მაინც, ქალაქში მინდა... წამოვწვები და წავალ... გასაგები ამბავია... *(მიდის, ხელჯოხს ეყრდნობა.)*

მედვედენკო. *(მიჰყავს ხელმკლავით.)* გამოცანას გეტყვით: დილით ოთხ ფეხზეა, შუადღეს – ორზე, ღამით – სამზე...

სორინი. *(იცინის.)* ზუსტად. ღამით ზურგზე. მადლობელი ვარ, მე თვითონაც შემიძლია წასვლა...

მედვედენკო. აჰა, ესეც, ცერემონიები!.. *(ის და სორინი გადიან.)*

არკადინა. როგორ შემაშინა!

ტრეპლიოვი. არ გრძნობს თავს კარგად სოფელში, მოიწყენს ხოლმე. აი, შენ, დედა, უცებ ხელგაშლილობა რომ გამოგეჩინა და გესესხებინა ათასი, ორი ათასი, მთელი წელი შეძლებდა ქალაქში ცხოვრებას.

არკადინა. არ მაქვს ფული. მე მსახიობი ვარ და არა – ბანკირი.

(პაუზა.)

ტრეპლიოვი. დედა, სახვევი გამომიცვალე, შენ კარგად გამოგდის.

არკადინა. *(წამლების ყუთიდან იღებს იოდსა და შესახვევ მასალას.)* ექიმი აგვიანებს.

ტრეპლიოვი. დამპირდა, ათისთვის ვიქნებიო, უკვე შუადღეა.

არკადინა. დაჯექი! *(ხსნის ძველ სახვევს.)* გეგონება, ჩალმა გეფაროს. გუშინ შენზე ვიღაც ჩამოსული მეკითხებოდა, რა ეროვნებისააო. პრინციპში, უკვე თითქმის შეგიხორცდა, რაღა დარჩა. *(თავზე კოცნის.)* უჩემოდ „ჩიკ-ჩიკს“ ხომ აღარ იზამ?

ტრეპლიოვი. არა, დედა. ის იყო გიჟური სასოწარკვეთის წუთი, როცა თავს ვეღარ ვაკონტროლებდი. ეს აღარ გამეორდება. *(ხელს უკოცნის.)* ოქროს ხელი გაქვს. მახსოვს, დიდი ხნის წინათ, მაშინ ჯერ კიდევ სახაზინო თეატრში მუშაობდი, მე პატარა ვიყავი, ჩვენს ეზოში ჩხუბი იყო, მრეცხავი ქალი მაგრად სცემეს. გახსოვს? უგონოდ იყო,

როცა ხელში აიყვანეს... შენ დადიოდი მასთან, წამლები დაგქონდა, მის შვილებს აბანავებდი. ნუთუ არ გახსოვს?

არკადინა. არა! *(ახალ სახვევს უკეთებს.)*

ტრეპლიოვი. მაშინ მაგ სახლში, სადაც ჩვენც ვცხოვრობდით, ორი ბალერინა იყო კიდევ... შენთან ყავის დასალევად დადიოდნენ...

არკადინა. ეს მახსოვს.

ტრეპლიოვი. ღვთისმოშიში ქალები იყვნენ. *(პაუზა.)* ბოლო დროს, აი, ეს დღეებია, ისე სათუთად და გულწრფელად მიყვარხარ, როგორც ბავშვობაში. შენს გარდა აღარავინ დამრჩა. უბრალოდ, რატომ, რატომ ექცევი ასე ძალიან იმ კაცის ზეგავლენის ქვეშ?

არკადინა. შენ არ გესმის მისი, კონსტანტინ. ის ძალიან ღირსეული პიროვნებაა.

ტრეპლიოვი. არადა, როგორც კი შეატყობინეს, რომ დუელში გამოწვევას ვუპირებდი, ამ ღირსებას მისთვის ლაჩრობაში ხელი არ შეუშლია. მიემგზავრება. სამარცხვინოდ გარბის!

არკადინა. რა ლაპარაკია! მე თვითონ ვთხოვე, რომ წასულიყო.

ტრეპლიოვი. ღირსეული პიროვნება! აი, მე და შენ ლამისაა ვიჩხუბოთ მის გამო, ის კი ზის ახლა სადმე, სასადილოში ან ბაღში, და დაგვცი-

ნის... ნინას ანათლებს და ცდილობს საბოლოოდ დაარწმუნოს, რომ გენიოსია.

არკადინა. ჩემთვის უსიამოვნო თემებზე საუბარი სიამოვნებას განიჭებს. მე პატივს ვცემ ამ ადამიანს და გთხოვ, ჩემი თანდასწრებით ცუდად ნუ მოიხსენიებ.

ტრეპლიოვი. მე კი არ ვცემ პატივს. შენ გინდა, რომ მეც გენიოსად ვთვლიდე, მაგრამ, უკაცრავად, რომ ტყუილი არ შემიძლია, მე მისი ნაწარმოებებზე გული მერევა.

არკადინა. ეს, უბრალოდ, შურია. უნიჭო ადამიანებს, რომლებსაც პრეტენზიები გააჩნიათ, არაფერი დარჩენიათ იმის გარდა, რომ ნამდვილი ტალანტები აძაგონ. ვერაფერს იტყვი – დიდი ნუგეშია!

ტრეპლიოვი. *(ირონიულად.)* ნამდვილი ტალანტები! *(მრისხანედ.)* მაგაზე თუ მიდგა, მე თქვენზე ყველაზე ნიჭიერი ვარ! *(მოსახვევს იხსნის.)* თქვენ, რუტინიორებმა, დაითრიეთ პირველობა ხელოვნებაში და კანონიერად და ჭეშმარიტად მარტო იმას თვლით, რასაც თქვენ ქმნით, დანარჩენებს კი ჩაგრავთ და გუდავთ! არ გცნობთ მე თქვენ! არც შენ, არც იმას!

არკადინა. დეკადენტო!..

ტრეპლიოვი. ჰოდა, მიბრძანდი იმ შენს საყვარელ თეატრში და ითამაშე საცოდავ, უნიჭო პიესებში.

არკადინა. არასდროს მითამაშია ასეთ პიესებ-ში! დამანებე თავი! ერთი საცოდავი ვოდევილის დამწერიც არ ხარ. კიეველი მეშჩანი! მათხოვარი!

ტრეპლიოვი. ძუნწო!

არკადინა. მაწანწალა!

(ტრეპლიოვი ჯდება და ჩუმად ტირის.)

არკადინა. არარაობა! *(ნერვიულად დადის.)* ნუ ტირი. ნუ ტირი-მეთქი... *(ტირის.)* ნუ ტირი... *(შუ-ბლზე კოცნის, ლოყებზე, თავზე.)* ჩემო საყვარელო შვილო, მაპატიე... მაპატიე, შენს ცოდვილ დედას. მაპატიე მე უბედურს.

ტრეპლიოვი. *(ეხუტება.)* რომ იცოდე! ყველაფერი დავკარგე. მე მას აღარ ვუყვარვარ და ვეღარც ვწერ... ყველა იმედი გაქრა...

არკადინა. ნუ ხარ სასოწარკვეთილი... გაივლის. წავა ახლა ის კაცი და ისევ შენ შეგიყვარებს. *(ცრემლებს წმენდს.)* ყველაფერი გაივლის. ჩვენც შევრიგდით.

ტრეპლიოვი. *(ხელებს უკოცნის.)* ჰო, დედა.

არკადინა. *(ნაზად.)* იმასაც შეურიგდი. არ გინდა ეს დუელები... ხომ არ გინდა?

ტრეპლიოვი. კარგი... ოღონდ, დედა, მომეცი უფლება რომ აღარ ვნახო. მიჭირს... ჩემს ძალებს აღემატება. *(შემოდის ტრიგორინი.)* აი... გავალ...

(სასწრაფოდ კარადაში ალაგებს წამლებს.) სახვევს ექიმი გამომიცვლის...

ტრიგორინი. *(წიგნაკში ეძებს.)* გვერდი 121... მე-11 და მე-12 სტრიქონები... აი... *(კითხულობს.)* „თუკი ოდესმე ჩემი ცხოვრება დაგჭირდეს, მოდი და წაიღე იგი“.

(ტრეპლიოვი იატაკიდან სახვევს აიღებს და გადის.)

არკადინა. *(საათს დახედავს.)* მალე ცხენებს მოიყვანენ.

ტრიგორინი. *(თავისთვის.)* თუკი ოდესმე ჩემი ცხოვრება დაგჭირდეს, მოდი და წაიღე იგი.

არკადინა. იმედი მაქვს, ჩაალაგე ყველაფერი, ხომ?

ტრიგორინი. *(მოუთმენლად.)* ჰო, ჰო... *(ჩაფიქრებული.)* სუფთა სულის ამ გამოძახილში რატომ მომესმა სევდა და გულს რამ მოუჭირა ასე ძლიერ?.. თუკი ჩემი ცხოვრება დაგჭირდეს, მოდი და წაიღე იგი. *(არკადინას.)* ერთი დღეც დავრჩეთ!

(არკადინა უარის ნიშნად თავს აქნევს.)

ტრიგორინი. დავრჩეთ!

არკადინა. ძვირფასო, ვიცი, რაც გაკავებს აქ. ცოტა თავს მოერიე. შენ ნასვამი ხარ და უნდა გამოფხიზლდე.

ტრიგორინი. იყავი შენც ფხიზელი, ჭკვიანი, გონიერი, გემუდარები, შეხედე ამ ყველაფერს, რო-

გორც ნამდვილმა მეგობარმა... *(ხელს უჭერს.)* შენ შეგიძლია მსხვერპლის გაღება... იყავი ჩემი მეგობარი და გამიშვი...

არკადინა. *(ძალიან აღელვებული.)* ასეთი გატაცებული ხარ?

ტრიგორინი. რაღაც მიზიდავს მისკენ! იქნებ ეს სწორედ ის არის, რაც მე მჭირდება.

არკადინა. პროვინციელი გოგონას სიყვარული? ო, რა ცუდად იცნობ საკუთარ თავს.

ტრიგორინი. ადამიანებს ხანდახან სიარულისას სძინავთ, ჰოდა, მეც გეუბნები, მე თვითონაც თითქოს მძინავს და მას სიზმარში ვხედავ... საოცარმა ოცნებებმა დამიმონეს... გამიშვი...

არკადინა. *(აკანკალებული.)* არა, არა... მე ჩვეულებრივი ქალი ვარ, არ შეიძლება ჩემთან ასე ლაპარაკი... ნუ მტანჯავ, ბორის... მეშინია...

ტრიგორინი. თუ მოისურვებ, შენ შეგიძლია არაჩვეულებრივი იყო. სიყვარული ნორჩია, მშვენიერი, პოეტური, მას შეუძლია ცხოვრება ზმანებად გარდაქმნას, – სამყაროში მხოლოდ მას, ერთადერთს, შეუძლია მომანიჭოს ბედნიერება! ასეთი სიყვარული მე ჯერ არ განმიცდია... ახალგაზრდობაში ამისი დრო არ იყო, რედაქციის ჭკუაზე დავდიოდი, გაჭირვებას ვებრძოდი... ახლა ის აქ არის, სიყვარული, მოვიდა, როგორც იქნა, მიზიდავს თავისკენ... რა აზრი აქვს, რომ გავექცე?

არკადინა. *(განრისხებული.)* შენ გაგიჟდი!

ტრიგორინი. დაე, ასე იყოს.

არკადინა. დღეს ყველამ მოილაპარაკეთ, რომ მე მტანჯოთ! *(ტირის.)*

ტრიგორინი. *(თავში ხელს ირტყამს.)* არ ესმის! არ სურს, გაიგოს!

არკადინა. ნუთუ ისეთი ბებერი და საძაგელი ვარ, რომ ჩემთან ასე მოურიდებლად შეიძლებოდეს სხვა ქალებზე ლაპარაკი? *(ეხუტება და კოცნის.)* ოჰ, შენ გაგიჟდი! ჩემო მშვენიერო, საოცარო... შენ ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ფურცელი ხარ... *(მუხლებზე ეშვება.)* ჩემი სიხარული, ჩემი სიამაყე, ჩემი ნეტარება... *(მუხლებზე ეხუტება.)* ერთი საათი-თაც რომ მიმატოვო, ვერ გადავიტან, გავგიჟდები; ჩემო სასწაულო, შესანიშნავო, ჩემო მბრძანებელო...

ტრიგორინი. ვინმე არ შემოვიდეს! *(წამოდგომაში ეხმარება.)*

არკადინა. შემოვიდეს, მე არ მრცხვენია ჩემი შენდამი სიყვარულისა. *(ხელებს უკოცნის.)* ჩემო საგანძურო, შეშლილო, სიგიჟე გინდა, მაგრამ არ გაგიშვებ... *(იცინის.)* ჩემი ხარ... ჩემი ხარ... ეს შუბლიც ჩემია, თვალებიც ჩემია, ეს მშვენიერი აბრეშუმის თმებიც ჩემია... თავიდან ბოლომდე ჩემი ხარ. შენ ისეთი ნიჭიერი ხარ, ჭკვიანი, დღე-ვანდელ მწერლებს ყველას სჯობიხარ, რუსეთის

ერთადერთი იმედი ხარ... შენში იმდენი უბრალოებაა, გულწრფელობა, სიახლე, ცოცხალი იუმორი... შენ შეგიძლია ერთი შტრიხით გადმოსცე მთავარი აზრი, ის, რაც აუცილებელია სახისთვის, პეიზაჟისთვის, შენი პერსონაჟები თითქოს ცოცხლები არიან. ო, აღფრთოვანების გარეშე წარმოუდგენელია შენი წაკითხვა! გგონია, გეპირფერები? გატყუებ? თვალებში მიყურე... მიყურე... ვგავარ მატყუარას? ხედავ, მარტო მე შემიძლია შენი დაფასება; მარტო მე გეუბნები სიმართლეს, ჩემო საყვარელო, მშვენიერო... წამოხვალ? ხო? არ მიმატოვებ?..

ტრიგორინი. საკუთარი ნება არ გამაჩნია... არც არასდროს გამაჩნდა... უნიათო, დონდლო, მუდამ მორჩილი – ნუთუ ეს შეიძლება ქალს მოსწონდეს? წამიყვანე, ოღონდ აღარ გამიშვა არც ერთი წამით...

არკადინა. *(თავისთვის.)* ახლა კი ჩემია *(აგდებულად, ვითომც არაფერი ყოფილა.)* ანდაც, თუ გინდა, შეგიძლია დარჩე. მარტო წავალ, შენ მერე ჩამოდი, ერთ კვირაში. მართლა, სად გვეჩქარება?

ტრიგორინი. არა, ერთად წავიდეთ.

არკადინა. როგორც გინდა. ერთად, მაშ იყოს ერთად... *(პაუზა.)*

(ტრიგორინი წიგნაკში რაღაცას იწერს.)

არკადინა. რას იწერ?

ტრიგორინი. დილით კარგ გამოთქმას მოვკარი ყური: „ქალური ნადავლი...“ გამომადგება. *(იზმორება.)* მაშ, მივდივართ? ისევ ეს მატარებლები, სადგურები, სასადილოები, კატლეტები, უაზრო საუბრები...

შამრაევი. *(შემოდის.)* მაქვს პატივი, დიდი მწუხარებით მოგახსენოთ, რომ ცხენები მზადაა. დროა, ღრმად პატივცემულო, სადგურისკენ გავემართოთ; მატარებელი ჩამოდგება ორ საათსა და ხუთ წუთზე. ასევე, ირინა ნიკოლაევნა, დიდად დამავალებთ, თუკი გამირკვევთ, სად არის ახლა მსახიობი სუზდალცევი? ცოცხალია? ჯანმრთელადაა? იყო დრო, ერთად ვსვამდით ხოლმე... „გაქურდულ ფოსტაში“ შეუდარებელი იყო... მასთან ერთად, მახსოვს, ელიზავეტგრადში მსახურობდა ტრაგიკოსი იზმაილოვი, ასევე დიდებული პიროვნება... ნუ იჩქარებთ, ღრმად პატივცემულო, ხუთი წუთი შეგვიძლია მოვიცადოთ. ერთხელ, ერთ მელოდრამაში შეთქმულებს თამაშობდნენ და, როცა ისინი შეიპყრეს, უნდა ეთქვათ: „ჩვენ ალყაში ვართ!“, იზმაილოვმა კი თქვა: „ჩვენ აყლაში ვართ“... *(ხარხარებს.)* აყლაში!.. *(სანამ ლაპარაკობს, იაკობი ჩანთებს ალაგებს, მოსამსახურეს არკადინას ქუდი მოაქვს, მანტო, ქოლგა, ხელთათმანები; ყველა არკადინას ეხმარება ჩაცმაში. მარცხენა კარიდან მზარეული იხედება, რომელიც ხანმოკლე პაუზის შემდეგ გაუბედავად შემოდის. შემოდის პოლინა ანდრეევნა, შემდეგ – სორინი და მედვედენკო.)*

პოლინა ანდრეევნა. *(კალათით ხელში.)* აი, თქვენ ქლიავი საგზლად... ძალიან ტკბილია. იქნებ პირის ჩატკბარუნება ინებოთ...

არკადინა. ძალიან ყურადღებიანი ხართ, პოლინა ანდრეევნა.

პოლინა ანდრეევნა. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო! რამე თუ ისე არ იყო, როგორც საჭიროა, ბოდიშს გიხდით. *(ტირის.)*

არკადინა. *(გადაეხვევა მას.)* ყველაფერი კარგად იყო, ყველაფერი კარგად იყო. აი, ტირილი კი, არაა საჭირო.

პოლინა ანდრეევნა. ჩვენი დრო მიდის!

არკადინა. რას ვიზამთ!

სორინი. *(პალტო აცვია, შალი აქვს მოხურული, ხელჯოხი უჭირავს, გამოდის მარცხენა კარიდან; მთელ ოთახს გაივლის.)* დაიკო, დროა, ბოლოს და ბოლოს – არ დაგვაგვიანდეს. წავალ, ჩავჯდები. *(გადის.)*

მედვედენკო. მე ფეხით წამოვალ... მიგაცილებთ სადგურამდე. სწრაფად გამოგყვებით... *(გადის.)*

არკადინა. ნახვამდის, ჩემო ძვირფასებო... ცოცხლები და ჯანმრთელები თუ ვიქენით, ზაფხულში ისევ შევხვდებით... *(მსახური ქალი, იაკობი და მზარეული ხელზე კოცნიან.)* ნუ დამივიწყებთ. *(მზარეულს რუბლს აწვდის.)* აი, თქვენ სამივეს, ერთი რუბლი.

მზარეული. უმორჩილესად გმადლობთ, ქალბატონო. ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ! დიდად კმაყოფილნი ვართ!

იაკობი. ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ!

შამრაევი. ერთი წერილით გაგვაბედნიერებთ! მშვიდობით, ბორის ალექსეევიჩ!

არკადინა. კონსტანტინი სად არის? უთხარით, რომ მივდივარ. უნდა გამოვემშვიდობო. აბა, ნუ მოიწყენთ. *(იაკობს.)* მზარეულს რუბლი მივეცი, სამივესთვისაა.

(ყველანი გადიან მარჯვნივ. სცენა ცარიელია. სცენის უკან ხმაურია, როგორც ხდება ხოლმე გაცილებისას. ბრუნდება მსახური, რათა მაგიდიდან ქლიავით სავსე კალათა აიღოს და ისიც გადის.)

ტრიგორინი. *(ბრუნდება.)* ჯოხი დამრჩა. მგონი აივანზე უნდა იყოს. *(გადის მარცხენა კარისკენ, სადაც ხვდება ნინა, რომელიც შემოდის.)* თქვენა ხართ? ჩვენ მივემგზავრებით.

ნინა. გული მიგრძნობდა, რომ კიდევ შევხვდებოდით. *(აფორიაქებული.)* ბორის ალექსეევიჩ, მე მივიღე გადაწყვეტილება – „წილი ნაყარია“, სცენას უნდა ვემსახურო. ხვალ უკვე აქ აღარ ვიქნები, მამისგან მივდივარ, მივატოვებ ყველაფერს და ახალ ცხოვრებას დავიწყებ... მივემგზავრები, როგორც თქვენ... მოსკოვში. იქ შევხვდებით.

ტრიგორინი. *(მიმოიხედავს.)* „სლავიანსკი ბაზარში“ დაბინავდით... მაშინვე შემატყობინეთ... მოლჩანოვკა, გროხოლსკის სახლი... მეჩქარება... *(პაუზა.)*

ნინა. სულ ერთი წუთიც...

ტრიგორინი. *(ხმადაბლა.)* რა მშვენიერი ხართ... ო, რამხელა ბედნიერებაა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ კიდევ შევხვდებით! *(ნინა მკერდზე ეკრობა.)* კიდევ ვნახავ ამ საოცარ თვალებს, ენით აუწერელ, მშვენიერ, ნაზ ღიმილს... ამ უწყინარ სახეს, ანგელოზური სიწმინდის გამომეტყველებას... ჩემო ძვირფასო... *(ხანგრძლივი კოცნა.)*

ფ ა რ დ ა

მესამე და მეოთხე მოქმედებებს შორის გადის ორი წელი.

მეოთხე მოქმედება

სორინის სახლში ერთ-ერთი მისაღები ოთახი, რომელიც გადაკეთებულია კონსტანტინ ტრეპლიოვის სამუშაო კაბინეტად. მარჯვნივ და მარცხნივ კარებია, რომლებსაც კულისებში გავყავართ. პირდაპირ მინის კარია, რომელიც ტერასაზე გადის. ოთახის ავეჯის გარდა, მარჯვენა კუთხეში საწერი მაგიდა დგას, მარცხენა კართან – თურქული დივანი, წიგნების კარადა, წიგნები აწყვია ფანჯრებსა და სკამებზეც. საღამოა. ანათებს ერთადერთი ნათურა. ნახევრად ბნელა. ისმის ხეების შრიალი და ქარის ხმა. დარაჯი აკაკუნებს. შემოდიან მაშა და მედვედენკო.

მაშა. *(ეძახის.)* კონსტანტინ გავრილიჩ! კონსტანტინ გავრილიჩ! *(მიმოიხედავს.)* არავინაა. მოხუცი სულ იმას კითხულობს, კოსტია სადაა, კოსტია სადაარ... უმისოდ ვეღარ ძლებს...

მედვედენკო. მარტოობისა ეშინია. *(ყურს დაუგდებს.)* რა საშინელი ამინდია! უკვე მეორე დღეა ასეა.

მაშა. *(ლამფას ანთებს.)* ტბაზე უზარმაზარი ტალღებია.

მედვედენკო. ბაღში ბნელა. ერთი უნდა ვუთხრა ვინმეს, ბაღში ის თეატრი რომ არის, დაშალონ. დგას ასე მოშიშვლებული, უშნო, როგორც ჩონჩხი და ქარი ფარდას ახეთქებს. გუშინ საღამოს რომ ჩავუარე, მომეჩვენა, თითქოს იქ ვიღაც ტიროდა.

მაშა. ჰო... *(პაუზა.)*

მედვედენკო. შინ წავიდეთ, მაშა!

მაშა. *(უარყოფის ნიშნად თავს აქნევს.)* დღეს აქ ვრჩები.

მედვედენკო. *(მუდარით.)* მაშა, წავიდეთ! ბავშვი მშიერი არ იყოს.

მაშა. არა უშავს, მატრიონა აჭმევს. *(პაუზა.)*

მედვედენკო. ცოდოა, უკვე მესამე ღამეა, დედის გარეშეა.

მაშა. რაღაც მოსაწყენი გახდი. აქამდე ფილოსოფოსობდი მაინც, ახლა სულ ბავშვი, სახლი, ბავშვი, სახლი, ბავშვი, სახლი – მეტს ვერაფერს გაიგებ შენგან.

მედვედენკო. წავიდეთ, მაშა!

მაშა. ადექი და წადი!

მედვედენკო. მამაშენი ცხენს არ მომცემს.

მაშა. მოგცემს. სთხოვე და მოგცემს.

მედვედენკო. კარგი, ვთხოვ. ხვალ მოხვალ?

მაშა. *(თამბაქოს ყნოსავს.)* ვნახოთ. მაწუხებ...

(შემოდიან ტრეპლიოვი და პოლინა ანდრეევნა; ტრეპლიოვს მოაქვს ბალიშები და გადასაფარებელი, პოლინა ანდრეევნას კი – თეთრეული;

ყველაფერს თურქულ დივანზე აწყობენ, შემდეგ ტრეპლიოვი მიდის თავის მაგიდასთან და ჯდება.)

მაშა. რა ხდება, დედა?

პოლინა ანდრეევნა. პიოტრ ნიკოლაევიჩმა გვთხოვა, კოსტიასთან გამიშალეთ საწოლიო.

მაშა. მოდი, გავუშალოთ... *(შლიან საწოლს.)*

პოლინა ანდრეევნა. *(ამოიოხრებს.)* გაგვიბავშვდა ბებერი... *(მიდის საწერ მაგიდასთან, ჩამოეყრდნობა და ხელნაწერს უყურებს; პაუზა.)*

მედვედენკო. მაშ, წავალ მე. მშვიდობით, მაშა! *(ცოლს ხელზე ჰკოცნის.)* მშვიდობით, დედა! *(ცდილობს სიდედრსაც აკოცოს ხელზე.)*

პოლინა ანდრეევნა. *(უკმაყოფილოდ.)* კარგი! წადი, თუ ღმერთი გწამს.

მედვედენკო. მშვიდობით, კონსტანტინ გავრილიჩ!

(ტრეპლიოვი მდუმარედ გაუწვდის ხელს; მედვედენკო გადის.)

პოლინა ანდრეევნა. *(ხელნაწერს უყურებს.)* ვერავინ წარმოიდგენდა, კოსტია, რომ თქვენგან ნამდ-

ვილი მწერალი გამოვიდოდა. მადლობა ღმერთს, ფულსაც გიგზავნიან ჟურნალებიდან. *(თმაზე ხელს გადაუსვამს.)* გალამაზდით კიდეც... საყვარელო, კარგო კოსტია, იქნებ უფრო ალერსიანად მოეპყრათ ჩემს მაშენკას...

მაშა. *(თან ლოგინს შლის.)* გაანებე თავი, დედა!

პოლინა ანდრეევნა. *(ტრეპლიოვს.)* ნახე, რა საყვარელია... *(პაუზა.)* ქალს, კოსტია, მეტი არაფერი უნდა: ალერსიანი მზერაც საკმარისია. მე გამომიცდია და ვიცი.

(ტრეპლიოვი დგება მაგიდიდან და ჩუმად გადის.)

მაშა. აჰა, გააბრაზე. მაინცდამაინც ასე უნდა შესჩენოდი!

პოლინა ანდრეევნა. მეცოდები, მაშენკა.

მაშა. ძალიანაც არ მჭირდებოდეს რა!

პოლინა ანდრეევნა. გული დამიავადდა შენ გამო. მე ხომ ყველაფერს ვხედავ, მე ხომ მესმის.

მაშა. სისულელეა. უიმედო სიყვარული მარტო რომანებშია. უაზრობაა. არაა საჭირო ეს გულუბრყვილობა და სულ რაღაცის მოლოდინი, უაზრო იმედები, ეს იგივეა, ზღვის პირას ამინდს ელოდო... როგორც კი გულში სიყვარული გაჩნდება, ეგრევე უნდა მოიშორო. აი, ახლა გვპირდებიან, მეუღლეს სხვა მაზრაში გადავიყვანთო. როგორც კი გავემგზავრებით, ყველაფერს დავივიწყებ... ძირფესვიანად ამოვიგლეჯ გულიდან.

(რამდენიმე ოთახის იქით უკრავენ მელანქოლიურ ვალსს.)

პოლინა ანდრეევნა. კოსტია უკრავს. ესე იგი, დარდობს.

მაშა. *(ჩუმად ცეკვავს ვალსის რამდენიმე ტაქტს.)* მთავარია, დედა, გამუდმებით არ ვხედავდე. გააგზავნონ ჩემი სემიონი სადმე სხვაგან და, დამერწმუნეთ, ერთ თვეში დავივიწყებ. არაფერი არაა.

(იღება მარცხენა კარი, დორნი და მედვედენკო სავარძლით მოაგორებენ სორინს.)

მედვედენკო. ახლა ოჯახში ექვსნი ვართ, ერთი ფუთი ფქვილი კიდე შვიდი გრივნა ღირს.

დორნი. ეგრე არ დარჩე.

მედვედენკო. ჰო, თქვენ გეცინებათ, ფული თავზე საყრელად გაქვთ და...

დორნი. ფული? ოცდაათწლიანი პრაქტიკის შემდეგ, მეგობარო, გაუჩერებელი პრაქტიკის, როცა საკუთარ თავს არ ვეკუთვნოდი, არც დღე, არც ღამე, ძლივს დავაგროვე მხოლოდ ორი ათასი და ისიც საზღვარგარეთ შემომეხარჯა. მე არაფერი არ გამაჩნია.

მაშა. *(ქმარს.)* არ წასულხარ?

მედვედენკო. *(დამნაშავესავით.)* რითი წავსულიყავი? აბა ცხენს არ მაძლევენ და!..

მაშა. *(ძალიან უკმაყოფილო, ხმადაბლა.)* თვალით არ დამენახო!

(სავარძელს აჩერებენ ოთახის მარცხენა ნახევარში; იქვე სხდებიან პოლინა ანდრეევნა, მაშა და დორნი; მედვედენკო, დამწუხრებული, გვერდზე დგება.)

დორნი. რამხელა ცვლილებები გქონიათ აქ! მისაღები კაბინეტად გადაგიკეთებიათ.

მაშა. კონსტანტინ გავრილიჩს აქ ურჩევნია მუშაობა. შეუძლია, როცა მოუნდება ბაღში გავიდეს და იქ გააგრძელოს ფიქრი.

(დარაჯი აკაკუნებს.)

სორინი. ჩემი და სად არის?

დორნი. სადგურზე წავიდა ტრიგორინის დასახვედრად. მალე დაბრუნდება.

სორინი. რაკი ჩემი დის გამოძახება ასე მნიშვნელოვნად ჩათვალეთ, ეტყობა რაღაც საშიში მჭირს. *(გაჩუმდა.)* რა საინტერესოა, რაღაც საშიში ავადმყოფობა მჭირს, ავად ვარ და წამალს არ მასმევენ.

დორნი. და რა გნებავთ? ვალერიანის წვეთები? სოდა? ქინაქინა?

სორინი. დაიწყო ისევ ეს ფილოსოფია. ღმერთო, რა დავაშავე! *(სავარძლისკენ გაიხედავს.)* ეს მე გამიშალეთ?

პოლინა ანდრეევნა. დიახ, თქვენ, პიოტრ ნიკოლაევიჩ.

სორინი. გმადლობთ!

დორნი. *(ღიღინებს.)* „თვენი მიჰქრიან ღამის ზეცაში...“

სორინი. აი, მინდა კოსტიას სიუჟეტი შევთავაზო მოთხრობისთვის. მას უნდა ერქვას: „ადამიანი, რომელსაც უნდოდა“. „L'homme qui a voulu“. ახალგაზრდობაში ლიტერატორობა მინდოდა – არ გამოვიდა; ლამაზად საუბარი მინდოდა – და ვლაპარაკობდი ამაზრზენად *(თავის თავს აჯავრებს.):* „და ეგეთები და ეგეთები...“ არადა, ყოფილა, დავატარებ ამ ჩემს რეზიუმეს, დავატარებ, დავატარებ ისე, რომ ზოგჯერ ვოფლიანდები კიდეც; დაქორწინება მინდოდა – ვერ დავქორწინდი; ქალაქში ცხოვრება მინდოდა – და აგერ, სოფელში ვასრულებ სიცოცხლეს და ეგეთები.

დორნი. გინდოდათ „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ გამხდარიყავით – და გახდით.

სორინი. *(იცინის.)* ამისთვის არასოდეს არ მიბრძოლია. თავისით გამოვიდა ასე.

დორნი. ცხოვრებით უკმაყოფილებას გამოთქვამდე სამოცდაორი წლის ასაკში, დამეთანხმებით, ვერაა დიდსულოვნება.

სორინი. რა შეუგნებელია, გაიგეთ, ცხოვრება მინდა!

დორნი. ქარაფშუტობაა და მეტი არაფერი. ბუნების კანონია, რომ ყველა სიცოცხლეს უნდა ჰქონდეს დასასრული.

სორინი. თქვენ მართლა მაძღარი კაცივით მსჯელობთ. მაძღარი ხართ და ამიტომაც ხართ ასეთი გულგრილი ცხოვრების მიმართ, თქვენთვის ყველაფერი სულ ერთია. მაგრამ სიკვდილისა თქვენც შეგეშინდებათ.

დორნი. სიკვდილის შიში ცხოველური შიშია... მისი დაძლევაა საჭირო. გააზრებულად სიკვდილისა მარტო იმას ეშინია, ვისაც მარადიული სიცოცხლისა სწამს, რადგან საკუთარი ცოდვები აშინებს. თქვენ კი, ჯერ ერთი, ურწმუნო ხართ, მერე კიდევ – რა ცოდვები გაქვთ? 25 წელი სასამართლო უწყებაში მსახურობდით, ეს არის და ეს. *(სკამზე ჩამოჯდება.)*

სორინი. *(იცინის.)* 28...

(შემოდის ტრეპლიოვი და სორინის ფეხებთან ჩამოჯდება სკამზე.
მთელი ამ დროის განმავლობაში მაშა მას თვალს არ აშორებს.)

დორნი. კონსტანტინ გავრილოვიჩს მუშაობას არ ვაცლით.

ტრეპლიოვი. არა უშავს, არაფერია.

(პაუზა.)

მედვედენკო. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ექიმო, განსაკუთრებით რომელი ქალაქი მოგეწონათ საზღვარგარეთ?

დორნი. გენუა.

მედვედენკო. გენუა რატომ?

დორნი. შესანიშნავი ხალხია ქუჩებში. საღამოს სასტუმროდან რომ გამოხვალ, ქუჩები სავსეა ხალხით. დადიხარ მერე აქეთ-იქით ამ ხალხში უმიზნოდ, თითქოს რაღაც ტეხილ ხაზზე, ცხოვრობ ხალხთან ერთად, ფსიქიკურად უერთდები მათ და გჯერა, თითქოს მართლაც შესაძლებელია არსებობდეს სამყაროს ერთიანი სული, რომელსაც ოდესღაც ნინა ზარეჩნაია ასრულებდა თქვენს პიესაში. ჰო, მართლა, სად არის ახლა ზარეჩნაია? როგორ არის?

ტრეპლიოვი. ალბათ, კარგად.

დორნი. მითხრეს, თითქოს რაღაც განსაკუთრებული ცხოვრება უნდა ჰქონდეს. რაშია საქმე?

ტრეპლიოვი. გრძელი ისტორიაა, ექიმო.

დორნი. თქვენც მოკლედ მოყევით. *(პაუზა.)*

ტრეპლიოვი. სახლიდან გაიქცა და ტრიგორინთან იყო. თქვენ ეს იცით?

დორნი. ვიცი.

ტრეპლიოვი. შვილიც შეეძინა, რომელიც გარდაიცვალა. ტრიგორინმა გადაიყვარა და თავის

ძველ მიდრეკილებებს დაუბრუნდა, როგორც მოსალოდნელი იყო. პრინციპში, არც მიუტოვებია ის ძველი მიდრეკილებები, უბრალოდ, უნებისყოფობის გამო დაძვრებოდა აქა-იქ. იქიდან გამომდინარე, რაც ვიცი, როგორც ვხვდები, ნინას პირადი ცხოვრება ვერ შედგა.

დორნი. სცენა?

ტრეპლიოვი. მგონი, უფრო უარესად. დებიუტი მოსკოვის გარეუბნის თეატრში ჰქონდა, შემდეგ პროვინციაში გაემგზავრა. მაშინ მხედველობიდან არ დამიკარგავს და რაღაც პერიოდი სულ უკან დავდევდი. დიდ როლებს ეჭიდებოდა, მაგრამ თამაშობდა უხეშად, უგემოვნოდ, წამოძახილებითა და მკვეთრი ჟესტებით. იყო მომენტები, როცა ნიჭიერად წამოიყვირებდა ან ნიჭიერად კვდებოდა სცენაზე, მაგრამ ეს მხოლოდ მომენტები იყო.

დორნი. ესე იგი, ნიჭი აქვს, ასე თუ ისე?

ტრეპლიოვი. ძნელი გასაგებია. ალბათ, აქვს. ვხვდებოდი, თუმცა თვითონ არ სურდა ჩემი ნახვა, მსახურიც არ მიშვებდა მასთან ნომერში. მე მესმოდა მისი, ამიტომაც დიდად არც მოვითხოვდი შეხვედრას. *(პაუზა.)* კიდევ რა გითხრათ? შემდეგ, სახლში როცა დავბრუნდი, წერილები მომდიოდა მისგან. საინტერესო წერილები, ჭკვიანური, თბილი; არ წუწუნებდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მეტად უბედური იყო; ყოველი წინადადება დაჭიმულ ნერვს ჰგავდა. გონებაც ვერ ჰქონდა დაწყობილი.

ბოლოში სულ „თოლიას“ აწერდა. „ქალთევზაში“ მეწისქვილე სულ რომ იმეორებდა, ყვავი ვარო, ეგრე ნინაც წერილებში მიმეორებს, რომ თოლიაა. ახლა ის აქაა.

დორნი. როგორ თუ აქ?

ტრეპლიოვი. ქალაქში, სასტუმროში. უკვე ხუთი დღეა იქ ცხოვრობს. მივედი მის სანახავად, მარია ილინიჩნაც იყო, მაგრამ არავის ნახვა არ უნდა. სემიონ სემიონოვიჩი ირწმუნება, თითქოს გუშინ, ნასადილევს, მდელოზე დაინახა, აქედან რამდენიმე ვერსის მანძილზე.

მედვედენკო. ჰო, დავინახე. იქით მხარეს მიდიოდა, ქალაქისკენ. მივესალმე, ვკითხე, რატომ არ მოდის ჩვენთან სტუმრად. მითხრა, მოვალო.

ტრეპლიოვი. არ მოვა. *(პაუზა.)* მამას და დედინაცვალს მისი დანახვაც არ უნდათ. გარშემო სულ დარაჯები ჩაამწკრივეს, რომ მამულთან ახლოს არ მიუშვან. *(მიდის საწერ მაგიდასთან.)* რა მარტივია, ექიმო, ქაღალდზე ფილოსოფოსობა და საქმე საქმეზე რომ მიდგება, რა რთულია!

სორინი. მშვენიერი გოგონა იყო.

დორნი. რაო?

სორინი. მშვენიერი გოგონა იყო-მეთქი. „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“ სორინს უყვარდა კიდეც, ერთ დროს.

დორნი. ბებერი ლოველასი.

(ისმის შამრაევის სიცილი.)

პოლინა ანდრეევნა. ეტყობა, ჩვენები მოსულან სადგურიდან.

ტრეპლიოვი. ჰო, დედას ხმა მესმის.

(შემოდიან არკადინა და ტრიგორინი, მათ შამრაევი მოჰყვება.)

შამრაევი. *(შემოდის.)* ყველანი ვბერდებით, სტიქიის ზეგავლენა გვაცამტვერებს, თქვენ კი, ღრმად პატივცემულო, ისევ ახალგაზრდულად გამოიყურებით... ფერადი ბლუზა, ენერგიულობა... გრაცია...

არკადინა. ისევ ჩემი გათვალვა გინდათ, თავს მაბეზრებთ!

ტრიგორინი. *(სორინს.)* გამარჯობა, პიოტრ ნიკოლაევიჩ! რა სულ ავადმყოფობთ? არ ვარგა! *(მაშას დანახვისას, გახარებული.)* მარია ილინიჩნა!

მაშა. მიცანით? *(ხელს ართმევს.)*

ტრიგორინი. გათხოვდით?

მაშა. რამდენი ხანია.

ტრიგორინი. ბედნიერი ხართ? *(თავს უკრავს დორნსა და მედვედენკოს, შემდეგ მიდის ტრეპლიოვთან, გაუბედავად.)* ირინა ნიკოლაევნამ მითხრა, რომ დაივიწყეთ ძველი ამბავი და აღარ ბრაზობთ.

(ტრეპლიოვი ხელს უწვდის.)

არკადინა. *(შვილს.)* აი, ბორის ალექსეევიჩმა ჟურნალი ჩამოიტანა, რომელშიც შენი ახალი მოთხრობაა.

ტრეპლიოვი. *(ჩამოართმევს წიგნს და მიმართავს ტრიგორინს.)* მადლობელი ვარ. ძალიან თავაზიანი ბრძანდებით. *(სხდებიან.)*

ტრიგორინი. მკითხველები ქედს იხრიან თქვენს წინაშე... პეტერბურგსა და მოსკოვში ძალიან დაინტერესებულნი არიან თქვენით, სულ მეკითხებიან თქვენზე: როგორია, რამდენი წლისაა, ქერაა თუ შავგვრემანი? რატომღაც ჰგონიათ, რომ ახალგაზრდა არ უნდა იყოთ. თქვენი ნამდვილი გვარიც არავინ იცის, რადგან ფსევდონიმით იბეჭდებით. იდუმალი ხართ, როგორც რკინის ნიღაბი.

ტრეპლიოვი. დიდი ხნით ჩამოხვედით?

ტრიგორინი. არა, ვფიქრობ, ხვალვე მოსკოვში დავბრუნდე. ასეა საჭირო. სასწრაფოდ უნდა დავამთავრო ერთი თხზულება, მერე კიდევ კრებულისთვისაც უნდა გავგზავნო რამე. ერთი სიტყვით, ძველი ისტორიაა.

(სანამ ტრეპლიოვი და ტრიგორინი საუბრობენ, არკადინა და პოლინა ანდრეევნა შუა ოთახში დგამენ გასაშლელ მაგიდას და შლიან;

შამრაევი სანთლებს ანთებს და სკამებს დგამს. კარადიდან იღებენ ლოტოს.)

ტრიგორინი. კარგი ამინდი არ დამხვდა, საშინელი ქარია. დილას თუ გამოიდარებს, ტბაზე წავალ სათევზაოდ. ერთი, ბაღიც უნდა ვნახო და ის ადგილი, თუ გახსოვთ, თქვენი პიესა სადაც დადგით. მოტივი მომაფიქრდა, მთავარია მოქმედების ადგილი გავაცოცხლო.

მაშა. *(მამას.)* მამა, ჩემს ქმარს ცხენი გაატანე რა, სახლში უნდა.

შამრაევი. *(აჯავრებს.)* ცხენი... სახლი... *(მკაცრად.)* ჰო შენ თვითონ ნახე: ამ წამს გავაგზავნე სადგურზე. თავიდან ხომ არ მოვაყვანინებ?

მაშა. ჰო, მაგრამ სხვა ცხენებიც ხომ გვყავს... *(მამის დუმილზე ხელს ჩაიქნევს.)* ვინც თქვენ გადაგეყრებათ...

მედვედენკო. ფეხით წავალ, მაშა, არა უშავს...

პოლინა ანდრეევნა. *(ამოიოხრებს.)* ამ ამინდში ფეხით? *(მიუჯდება მაგიდას.)* დავიწყოთ, მეგობრებო.

მედვედენკო. დიდი ამბავი, ექვსი ვერსია რა... მშვიდობით... *(ცოლს ხელზე კოცნის.)* მშვიდობით, დედა. *(სიდედრს არ უნდა, მაგრამ საკოცნელად ხელს მაინც უწვდის.)* არ შეგაწუხებდით, უბრალოდ, ბავშვი... *(ყველას თავს დაუკრავს.)* მშვიდობით... *(დამნაშავესავით გადის.)*

შამრაევი. მივა, მივა, ეგეც გენერალი არ მყავდეს.

პოლინა ანდრეევნა. *(მაგიდაზე აკაკუნებს.)* დავარიგოთ, მეგობრებო, დროს ნუ დავკარგავთ, თორემ ვახშმის დრო მოდის.

(შამრაევი, მაშა და დორნი მაგიდასთან სხდებიან.)

არკადინა. *(ტრიგორინს.)* შემოდგომაზე, საღამოობით, აქ ლოტოს თამაშობენ ხოლმე. აი, შეხედეთ: ძველი ლოტო, რომელსაც ცხონებული დედა გვეთამაშებოდა, ბავშვები როცა ვიყავით. ხომ არ შემოგვიერთდებით ვახშამდე? *(ტრიგორინს მიუჯდება მაგიდასთან.)* მოსაწყენი თამაშია, მაგრამ, თუ შეეჩვევი, გახალისდები. *(ურიგებს ყველას სამ-სამ მუყაოს ფურცელს.)*

ტრეპლიოვი. *(ჟურნალს ფურცლავს.)* თავისი მოთხრობა წაუკითხავს, ჩემი კი – არც გაუჭრია. *(დებს ჟურნალს საწერ მაგიდაზე, შემდეგ მარცხენა კარისკენ გადის; დედას როცა ჩაუვლის, თავზე ჰკოცნის.)*

არკადინა. შენ, კოსტია?

ტრეპლიოვი. მაპატიე, რაღაც არ მინდა... გავივლი. *(გადის.)*

არკადინა. ჩასვლა იყოს ერთი გრივნა. ჩამოდით რა ჩემთვისაც, ექიმო.

დორნი. კი ბატონო!

მაშა. ყველა ჩამოვიდა? ვიწყებ... ოცდაორი!

არკადინა. მაქვს.

მაშა. სამი!..

დორნი. აი!

მაშა. დადეთ სამიანი? რვა! ოთხმოცდაერთი! ათი!

შამრაევი. ნუ ჩქარობ!

არკადინა. ხარკოვში ისე მიმიღეს, ჩემო საყვარ-ლებო, რომ ახლაც თავბრუ მეხვევა!

მაშა. ოცდათოთხმეტი!

(სცენის უკანა მხრიდან მელანქოლიური ვალსი ისმის.)

არკადინა. სტუდენტებმა ოვაციები მომიწყვეს... სამი კალათა, ორი გვირგვინი და აი... *(მკერდიდან იხსნის ბროშს და მაგიდაზე დებს.)*

შამრაევი. დიდებული რამეა...

მაშა. ორმოცდაათი!..

დორნი. ზუსტად ორმოცდაათი?

არკადინა. საოცრად გამოვიყურებოდი... რაც არ უნდა იყოს, კარგად ჩაცმა არ მესწავლება.

პოლინა ანდრეევნა. კოსტია უკრავს. მოიწყინა საწყალმა.

შამრაევი. გაზეთებში ძალიან ლანძღავენ.

მაშა. სამოცდაჩვიდმეტი!

არკადინა. მერე რას აქცევს ყურადღებას?

ტრიგორინი. არ უმართლებს, ვერა და ვერ უპო-ვია თავისი ნამდვილი სტილი. რაღაც უცნაურად

წერს, გაურკვევლად, ხანდახან – ბოდვასაც კი ემსგავსება. არც ერთი ცოცხალი სახე...

მაშა. თერთმეტი.

არკადინა. *(დახედავს სორინს.)* პეტრუშა, მოიწყინე? *(პაუზა.)* სძინავს.

დორნი. „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს“ სძინავს.

მაშა. შვიდი! ოთხმოცდაათი!

ტრიგორინი. ასეთი მამული რომ მქონდეს, ტბის პირას, საერთოდ წერას დავიწყებდი? დავამარცხებდი ჩემში ამ ჟინს და მხოლოდ ვითევზავებდი.

მაშა. ოცდარვა!

ტრიგორინი. არადა ჩიქვს რომ დაიჭერ, ან ქორჭილას – რამხელა ნეტარებაა!

დორნი. აი, მე კი მჯერა კონსტანტინ გავრილიჩისა. რაღაც არის მასში! რაღაც არის! სახეებით აზროვნებს, მისი ნაწარმოებები ხატოვანია, ნათელი და მე მათ ნამდვილად ვგრძნობ. უბრალოდ, სამწუხაროა, რომ კონკრეტული ამოცანები არა აქვს დასახული. შთაბეჭდილებას უდავოდ ახდენს, მაგრამ მეტი ვერაფერი, არადა, ცარიელი შთაბეჭდილებით შორს ვერ წახვალ. ირინა ნიკოლაევნა, გიხარიათ, რომ შვილი მწერალი გყავთ?

არკადინა. თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ არც წამიკითხავს. ვერა და ვერ მოვიცალე.

მაშა. ოცდაექვსი!

(ტრეპლიოვი შემოდის და თავის მაგიდასთან მიდის.)

შამრაევი. *(ტრიგორინს.)* ბორის ალექსეევიჩ, ჩვენთან რაღაც დაგრჩათ.

ტრიგორინი. რა?

შამრაევი. კონსტანტინ გავრილიჩმა თოლია რომ მოკლა, თქვენ დამავალეთ მისგან ფიტულის გაკეთება.

ტრიგორინი. არ მახსოვს. *(ჩაფიქრებული.)* არ მახსოვს!

მაშა. სამოცდაექვსი! ერთი!

ტრეპლიოვი. *(ფანჯარას აღებს, მიაყურადებს.)* რა სიბნელეა! ვერ ვხვდები, რატომ ვარ ასე მოუსვენრად.

არკადინა. კოსტია, დახურე ფანჯარა, უბერავს.

(ტრეპლიოვი ფანჯარას ხურავს.)

მაშა. ოთხმოცდარვა!

ტრიგორინი. ბატონებო, მე დავასრულე!

არკადინა. *(მხიარულად.)* ბრავო! ბრავო!

შამრაევი. ბრავო!

არკადინა. ამ კაცს ყველაფერში უმართლებს. *(წამოდგება.)* წავიდეთ ახლა, წავიხემსოთ. ჩვენს უცნობილესობას დღეს არ უსადილია. ნავახშმევს გავაგრძელოთ. *(შვილს.)* კოსტია, გაანებე ამ ხელნაწერებს თავი, წამოდი, ვივახშმოთ.

ტრეპლიოვი. არ მინდა, დედა, ნავახშმევი ვარ.

არკადინა. შენი ნებაა. *(სორინს აღვიძებს.)* პეტრუშა, ვახშამი! *(შამრაევს ხელმკლავით მიჰყვება.)* ახლავე გიამბობთ, როგორ მიმიღეს ხარკოვში...

(პოლინა ანდრეევნა მაგიდაზე სანთლებს აქრობს, შემდეგ ის და დორნი სავარძელს მიაგორებენ. ყველა გადის მარცხენა კარში;

სცენაზე საწერ მაგიდასთან მხოლოდ ტრეპლიოვი რჩება.)

ტრეპლიოვი. *(წერას აპირებს; კითხულობს დასრულებულ ნაწერებს.)* რამდენს ვლაპარაკობდი ახალ ფორმებზე, ახლა კი მე თვითონ ვიწყებ რუტინისკენ ფორთხვას. *(კითხულობს.)* „ღობეზე გაკრული აფიშა იტყობინებოდა... შავი თმით მოჩარჩოებული ფერმკრთალი სახე“... იტყობინებოდა, მოჩარჩოებული... უნიჭობაა. *(გადახაზავს.)* დავიწყებ იმით, რომ მთავარი გმირი წვიმის ხმაურმა გააღვიძა, დანარჩენს კი მოვაშორებ. მთვარიანი საღამოს აღწერაც გაწელილი და გადატყლარჭულია. ტრიგორინს კონკრეტული ხერხები აქვს შემუშავებული, რა ენაღვლება... მასთან ბოთლის დამტ-

ვრეული თავი ბრწყინავს და წისქვილის ბორბლის ჩრდილი ბნელდება – ესეც შენი მთვარიანი ღამე, ჩემთან კი მთრთოლვარე შუქი და ვარსკვლავთა ჩუმი ციმციმია, როიალის შორეული ხმები, რომელიც მდუმარე, არომატულ ჰაერში განიბნევა... დავიტანჯე. *(პაუზა.)* ჰო, უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ მთავარი არ არის ძველი და ახალი ფორმები, არამედ ის, რასაც ადამიანი წერს, როცა სულაც არ ფიქრობს ფორმებზე, როცა წერს იმას, რასაც სული უკარნახებს. *(ვიღაც ფანჯარაზე აკაკუნებს.)* ეს რა იყო? *(იხედება ფანჯარაში.)* ვერაფერს ვხედავ... *(აღებს მინის კარს და ბაღში იხედება.)* ვიღაცამ კიბეებზე ჩაირბინა. *(გასძახებს.)* ვინ არის? *(გადის; ისმის, თუ როგორ სწრაფად გადის აივანზე; ნახევარ წუთში ბრუნდება ნინა ზარეჩნაიასთან ერთად.)* ნინა! ნინა!

(ნინა თავს კოსტიას მკერდში ჩარგავს და თავშეკავებით ქვითინებს.)

ტრეპლიოვი. *(გაოგნებული.)* ნინა! ნინა! ეს თქვენ ხართ... თქვენ... წინათგრძნობა მქონდა, მთელი დღეა რაღაც არ მასვენებს. *(ქუდს მოხდის, ტალმას გახდის.)* ჩემი კეთილი, ჩემი მშვენიერი, დამიბრუნდა! ნუ ტირით, ნუ.

ნინა. აქ არის ვინმე?

ტრეპლიოვი. არავინაა.

ნინა. კარი ჩაკეტეთ, ვინმე არ შემოვიდეს.

ტრეპლიოვი. არავინ შემოვა.

ნინა. ვიცი, ირინა ნიკოლაევნა აქაა. კარი ჩაკეტეთ...

ტრეპლიოვი. *(მარჯვენა კარს გასაღებით ჩაკეტავს, მიდის მარცხენასთან.)* საკეტი არ ჰქონია. სავარძელს მივადგამ. *(კარს სავარძელს მიადგამს.)* ნუ გეშინიათ, არავინ შემოვა.

ნინა. *(სახეზე აცქერდება.)* დამენახეთ ერთი. *(მიმოიხედავს.)* თბილა, რა კარგია... აქ ადრე მისაღები იყო. ძალიან შეცვლილი ვარ?

ტრეპლიოვი. ჰო... გახდით და თვალები გაგიფართოვდათ. ნინა, რა უცნაურია, რომ გხედავთ. რატომ არ მიშვებდით თქვენთან? აქამდე რატომ არ მოდიოდით ჩემთან? მე ვიცი, რომ თქვენ აქ ხართ უკვე ერთი კვირაა... ყოველდღე, დღეში რამდენჯერმე მოვდიოდი თქვენთან, თქვენს სახლთანაც, მათხოვარივით ვიდექი თქვენი ფანჯრის ქვეშ.

ნინა. მეშინოდა, მეგონა, გეზიზღებოდით. ყოველღამე მესიზმრება, თითქოს მიყურებთ და ვეღარა მცნობთ. ნეტა იცოდეთ! ჩამოსვლის დღიდანვე სულ აქ მოვდივარ... ტბასთან. თქვენს სახლთანაც ბევრჯერ მოვსულვარ, მაგრამ შემოსვლას ვერ ვბედავდი. მოდით, დავსხდეთ. *(სხდებიან.)* დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ. რა კარგია აქ, თბილა, სიმყუდროვეა... გესმით? ქარია? ტურგენევს უწერია: „რა ენაღვლებათ მათ, ასეთ

ღამეებში ჭერქვეშ რომ სხედან, თავიანთი თბილი კუთხე რომ აქვთ“. მე თოლია ვარ... არა, ეგ არა. *(შუბლს იწმენდს.)* რას ვამბობდი? ჰო... ტურგენევი... „ღმერთო, შენ დაიფარე ყველა უსახლკარო მაწანწალა“... არაფერია. *(ქვითინებს.)*

ტრეპლიოვი. ნინა, თქვენ ისევ... ნინა!

ნინა. არა უშავს, მომეშვა... უკვე ორი წელია არ მიტირია. გუშინ საღამოს ბაღში ვიყავი, ჩვენი თეატრის სანახავად. ის ჯერ კიდევ დგას. ამეტირა, პირველად ორი წლის განმავლობაში, და თითქოს მომეშვა, უკეთ ვიგრძენი თავი. აი, ხედავთ, აღარ ვტირი. *(ხელს მოკიდებს.)* მაშ, თქვენ უკვე მწერალი ხართ... თქვენ – მწერალი, მე – მსახიობი... ასე დაგვატრიალა ცხოვრების ჩარხმა... არადა, ბედნიერად ვცხოვრობდი, ბავშვურად, დილა უდარდელად თენდებოდა; მიყვარდით, დიდებაზე ვოცნებობდი, ახლა კი? დილით ელეცში მივემგზავრები, მესამე კლასის ვაგონით... ვიღაც ხეპრეებთან ერთად. იქ კი მერე განათლებულმა ვაჭრებმა უნდა შემაწუხონ კომპლიმენტებით. ცხოვრება უხეშია!

ტრეპლიოვი. ელეცში რა გინდათ?

ნინა. ანგაჟემენტი მომცეს მთელი ზამთრისთვის. წასვლის დროა.

ტრეპლიოვი. ნინა, მე თქვენ გწყევლიდით, მძულდით, თქვენს წერილებსა და სურათებს ვხევდი,

მაგრამ ყოველ წუთს ვგრძნობდი, რომ ჩემი სული თქვენს სულზე სამუდამოდაა მიჯაჭვული. არ შემიძლია, რომ არ მიყვარდეთ, ნინა. რაც თქვენ დაგკარგეთ და სევდამ შემიპყრო, ჩემი ცხოვრება აუტანელი გახდა, ვიტანჯები... ახალგაზრდობა გამომეცალა და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ოთხმოცდაათი წლისა ვიყო. გიხმობდით, ვკოცნიდი იმ მიწას, რომელზეც თქვენ დადიოდით; საითაც არ უნდა გამეხედა, თვალწინ მედგა თქვენი სახე, რომელიც ცხოვრების საუკეთესო წლებს მინათებდა...

ნინა. *(დაბნეული.)* რას ლაპარაკობს, რას ლაპარაკობს...

ტრეპლიოვი. მარტოსული ვარ, გულს არავინ მითბობს, მცივა, როგორც ქვესკნელში, და, რაც არ უნდა დავწერო, ყველაფერი მშრალია, უგულო, უსიცოცხლო. დარჩით, ნინა, გემუდარებით ან მომეცით საშუალება, მეც გამოგყვეთ!

(ნინა სწრაფად იხურავს ქუდს და იცვამს ტალმას.)

ტრეპლიოვი. რატომ, ნინა? ნინა, ღვთის გულისათვის... *(უყურებს, თუ როგორ იცვამს ნინა. პაუზა.)*

ნინა. გასასვლელთან ცხენები მელოდებიან. ნუ გამაცილებთ, ჩემით წავალ... *(აცრემლებული.)* წყალი დამისხით!..

ტრეპლიოვი. *(აწვდის წყალს.)* ახლა საით?

ნინა. ქალაქში. *(პაუზა.)* ირინა ნიკოლაევნა აქ არის?

ტრეპლიოვი. ჰო... ტელეგრაფით მივწერეთ, რომ ჩამოსულიყო, ხუთშაბათს ბიძია ცუდად გახდა.

ნინა. რატომ ამბობთ, რომ კოცნიდით იმ მიწას, რომელზეც მე დავდიოდი? მოსაკლავი ვარ. *(მაგიდას ეყრდნობა.)* დავიღალე... ნეტა დამასვენა... დამასვენა... *(თავს ასწევს.)* მე თოლია ვარ... არა, ეგ არა. მე მსახიობი ვარ. ჰო, ჰო! *(არკადინასა და ტრიგორინის სიცილის გაგონებაზე, ყურს დაუგდებს, შემდეგ გარბის მარცხენა კართან და ჭუჭრუტანიდან იჭყიტება.)* ისიც აქაა... *(ბრუნდება ტრეპლიოვთან.)* ჰო... არაფერი... ჰო... მას არ სწამდა თეატრი, სულ დასცინოდა ჩემს ოცნებებს და დროთა განმავლობაში მეც დავკარგე საკუთარი თავის რწმენა... მერე კიდევ სიყვარული, ეჭვიანობა, ბავშვის გამო გაუთავებელი შიშები... დავწვრილმანდი, არარაობად ვიქეცი, ჩემი თამაშიც კი უაზრო გახდა... არ ვიცოდი, ხელები სად წამეღო, სცენაზე დგომა ვერ ვისწავლე, საკუთარ ხმას ვერ ვფლობდი. თქვენ არ გესმით, ეს რა შეგრძნებაა, როცა გრძნობ, რომ საშინლად თამაშობ. მე თოლია ვარ. არა, ეგ არა... გახსოვთ თოლია რომ მოკალით? შემთხვევით გამოჩნდა ადამიანი და უსაქმურობისგან დაღუპა იგი... პატარა მოთხრობის სიუჟეტია... არა, ეგ არა... *(შუბლს იწმენდს.)* რას ვამბობდი?.. სცენაზე ვლაპარაკობდი. ახლა ისეთი აღარ ვარ... ახლა ნამდვილი მსახიობი ვარ, სიამოვნებით ვთამაშობ, სიხარულით, სცენით ვთვრები და თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

ახლა, სანამ აქ ვცხოვრობ, სულ ფეხით დავდივარ და ვფიქრობ, ვფიქრობ და ვგრძნობ, დღითიდღე როგორ ვძლიერდები სულიერად... ახლა ვიცი, ვხვდები, კოსტია, რომ ჩვენს საქმეში, სულ ერთია, სცენაზე ვთამაშობთ თუ ვწერთ რამეს, მთავარი დიდება კი არაა ან გაბრწყინება, რაზეც ვოცნებობდი, არამედ – მოთმინების უნარი. უნდა შეგეძლოს, რომ ატარო შენი ჯვარი და რწმენა უნდა იქონიო. მე მწამს და ისე აღარ მტკივა, და როცა საკუთარ მოწოდებაზე ვფიქრობ, ცხოვრება იმდენად აღარ მაშინებს.

ტრეპლიოვი. *(სევდიანი.)* თქვენ იპოვეთ თქვენი გზა, იცით, საით მიდიხართ, მე კი ჯერ კიდევ ჩემი ოცნებებისა და ხატოვანი სახეების ქაოსში ისე ვარ დაკარგული, რომ არც ვიცი, ვის რაში სჭირდება ეს ყველაფერი. არ მწამს და არ მესმის, საერთოდ რისთვის ვარ.

ნინა. *(ყურს დაუგდებს.)* ჩუ... მე წავალ. მშვიდობით. დიდი მსახიობი როცა გავხდები, ჩამოდით და მნახეთ. მპირდებით? ახლა კი... *(ხელს ჩამოართმევს.)* გვიანია. ფეხზე ძლივს ვდგავარ... ქანცგაწყვეტილი ვარ და მშიერი...

ტრეპლიოვი. დარჩით, ვახშამს მოგიტანთ...

ნინა. არა, არა... ნუ გამაცილებთ, მარტოც წავალ... ცხენები ახლოს დავტოვე... ესე იგი, ისიც ჩამოიყვანა? თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს. ტრიგორინს როცა ნახავთ, ნუ ეტყვით ნურაფერს... მე

ის მიყვარს. ახლა უფრო ძლიერ მიყვარს, ვიდრე მანამდე... პატარა მოთხრობის სიუჟეტია... მიყვარს, საოცრად მიყვარს, სასოწარკვეთილებამდე მიყვარს. რა კარგი იყო ადრე, კოსტია. გახსოვთ? როგორი ნათელი, თბილი, მხიარული და სუფთა ცხოვრება და გრძნობები გვქონდა; გრძნობები, რომლებიც ნაზ, სათუთ ყვავილებს ჰგავდა... გახსოვთ?.. *(კითხულობს.)* „ადამიანები, ლომები, არწივები და კაკბები, ქორბუდა ირმები, ბატები, ობობები, წყალში მობინადრე, მდუმარე თევზები, ზღვის ვარსკვლავები და ისინიც, ვისი თვალით დანახვაც შეუძლებელი იყო, – ერთი სიტყვით, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი, ჭმუნვისა და მწუხარების წრეში გაქრა... უკვე ათასი საუკუნეა, რაც დედამიწაზე აღარ არის არც ერთი ცოცხალი ბინადარი და ამ საცოდავ მთვარესაც უიმედოდ უნთია თავისი ჩირაღდანი. მდელოებზე ყივილით აღარ იღვიძებენ წეროები და აღარც მაისის ხოჭოების ხმა ისმის ბალახიდან...“

(ნაჩქარევად მოეხვევა ტრეპლიოვს და გარბის მინის კარიდან.)

ტრეპლიოვი. *(პაუზის შემდეგ.)* ვინმემ ბაღში არ დაინახოს და დედას არ უთხრას, თორემ ეწყინება დედას...

(შემდეგი ორი წუთის განმავლობაში მდუმარედ ხევს თავის ხელნაწერებს და ყრის მაგიდის ქვეშ, შემდეგ აღებს მარჯვენა კარს და გადის.)

დორნი. *(ცდილობს გააღოს მარცხენა კარი.)* უცნაურია. კარი თითქოს ჩაკეტილია... *(შემოდის და სავარძელს თავის ადგილზე გადადგამს.)* ეს რა დოღი გაუმართავთ თავისი წინაღობებით.

(შემოდიან არკადინა, პოლინა ანდრეევნა, მათ მოყვებიან იაკობი ბოთლებით ხელში და მაშა, შემდეგ – შამრაევი და ტრიგორინი.)

არკადინა. ბორის ალექსეევიჩის წითელი ღვინო და ლუდი აქ დადგით, მაგიდაზე. ჩვენ თან ვითამაშებთ, თან – დავლევთ. დავსხდეთ, ბატონებო!

პოლინა ანდრეევნა. *(იაკობს.)* ახლავე მოგვართვი ჩაი. *(სანთლებს ანთებს, ჯდება გასაშლელ მაგიდასთან.)*

შამრაევი. *(ტრიგორინი მიყავს კარადასთან.)* აი, წეღან რაზეც გეუბნებოდით... *(კარადიდან გადმოიღებს თოლიას ფიტულს.)* თქვენი შეკვეთა.

ტრიგორინი. *(დახედავს თოლიას.)* არ მახსოვს! *(ჩაფიქრებული.)* არ მახსოვს!

(სცენის მარჯვენა მხრიდან გასროლის ხმაა; ყველას შეეშინდება.)

არკადინა. *(შეშინებული.)* რა მოხდა?

დორნი. არაფერი. ეს ალბათ ჩემს სამგზავრო აფთიაქში გასკდა რაღაც. არ ინერვიულოთ. *(გადის მარჯვენა კარში, წუთნახევარში ბრუნდება.)* ასეც არის, ეთერის შუშა გამსკდარა. *(ღიღინებს.)* „მე კვლავ შენ წინაშე ვარ, დაპყრობილი შენ მიერ...“

არკადინა. *(მაგიდას უჯდება.)* ფუი, გული გამისკდა! უცებ გამახსენდა, მაშინ რომ... *(სახეზე ხელებს იფარებს.)* თვალებშიც კი დამიბნელდა...

დორნი. *(ჟურნალს ფურცლავს, ტრიგორინს.)* ერთი-ორი თვის წინ აქ ერთი სტატია იყო დაბეჭდილი... წერილია ამერიკიდან და, ისე, სასხვათაშორისოდ, მინდოდა მეკითხა... *(ტრიგორინს წელზე ხელს შემოხვევს და რამპისკენ გაჰყავს.)*... უაღრესად დაინტერესებული ვარ ამ საკითხით... *(დაბალი ხმით.)* ირინა ნიკოლაევნა აქედან გაიყვანეთ. საქმე ისაა, რომ კონსტანტინ გავრილოვიჩმა თავი მოიკლა...

ფ ა რ დ ა

1896